



8 ოქტომბერი, 2018

ორშაბათი, №8 (2223)

CERN-ის გამოფენა თსუ-ში



23 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმმა ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრის (CERN) ლაბორატორიის გამოფენას უმასპინძლა. მის ფარგლებში დამთვალიერებლებს შეეძლოთ საინტერესო ვირტუალურ ტურებში მონაწილეობა და ლექციების მოსმენა, რომელსაც გამოფენის ერთ-ერთი ორგანიზატორი, CERN-ის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი მიკ სტორი (Mick Storr) და მთავარი სპეციალისტი მაიკლ ჰოჩი (Michael Hoch) უძღვებოდნენ. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თვალსაჩინოებები ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის, კოსმოსური მიკროტალღების, გალაქტიკისა და კოსმოსის სხვადასხვა დონეების, ცერნის დაარსების, ჰიგის ბოზონის აღმოჩენის ისტორიის შესახებ. ორგანიზატორები დამთვალიერებლებს და მსმენელებს უხსნიდნენ თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ექსპერიმენტის მნიშვნელობას და მის როლს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარებაში.

83. 2

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი



„მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2018“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა. ფესტივალი უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში თსუ-ის კაპალას საუნივერსიტეტო ჰიგინის შენობაში დაიწყო. ღონისძიებაზე საპარტოვლო მასშტაბით არსებული უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო კვლევითი ცენტრებისა და გამოგონებულების გამოფენები, ექსპერიმენტები და უახლესი სამეცნიერო გამოცდები იყო წარმოდგენილი. „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2018“ თსუ-ის რეპტორა ბიოგრი შარვაშიძე, საპარტოვლო პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე და საპარტოვლო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე თევზაძე გახსნეს. ირაკლი კობახიძე აღნიშნა, რომ მთავრობა განათლების, მეცნიერებისა და ინოვაციების განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსების გაორმაგებას გეგმავს. „სიმბოლურია, რომ მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასპინძლოს. თსუ-ის უმაღლესი სასწავლებელია, რომლის სათავეებთან ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი პარტოვლი მეცნიერები იღვწან. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ სამეცნიერო კვლევით პროცესებში, ბევრი ახალგაზრდა იყოს ჩართული, ეს ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. მოგახსენებთ, საპარტოვლო მთავრობა წამოაყენა ინიციატივა სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლების, მეცნიერების, ტექნოლოგიების განვითარების დაფინანსების გაორმაგების შესახებ. საპარტოვლო ამ მიმართულებით რეგიონის ცენტრი უნდა გახდეს“, — განაცხადა საპარტოვლო პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე.

83. 2

ნომერები

- ღია კარის დღე მულტიმედია ცენტრში 83. 3
- ინსულტის პრევენცია და მკურნალობა – მე-7 რეგიონული კონფერენცია 83. 6
- საჯარო ლექცია ტურიზმის განვითარების შესახებ 83. 8
- მარიამ ლორთქიფანიძის კითხვანი 83. 8
- ინოვაციური პროექტები თსუ-ის ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში 83. 9



„რომ არა ექვთიმე თაყაიშვილი“... 83. 10

■ უნივერსიტეტის იდეა ქართველურ ენათა კვლევისა და სწავლებისათვის 83. 10



უნივერსიტეტის იდეა და პარტოვლი უნივერსიტეტის მნიშვნელობა



■ ქართული ენის სახელმძღვანელო უცხოელებისთვის მეორედ გამოცემა 83. 10

■ არნოლდ ჩიქობავას შრომების თოთხმეტტომეულის პრეზენტაცია გაიმართა 83. 11

■ „კავკასია დროისა და სივრცის გასაყარზე“ 83. 11

■ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი თსუ-ის ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში 83. 12



83. 12

■ თსუ-ში ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრი გაიხსნა 83. 13

■ მომავალმა კინო-ტელე რეჟისორებმა ფილმების პრეზენტაცია გამართეს 83. 15



მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი საზაიმო გახსნა

1-ლი გზა

„განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი საქართველოში უკვე მეოთხედ ტარდება. წელს პირველად ფესტივალის მასპინძელი უნივერსიტეტი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ეს საპატიო მისია მესამე საიუბილეო წელს იტვირთა. 10 დღის განმავლობაში უამრავი ღონისძიება გაიმართება, სადაც ახალგაზრდები მეცნიერებისა და ინოვაციების განცხობას სახალისო ფორმით შეძლებენ“, — აღნიშნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე თევზაძემ.

მინისტრის მოადგილემ ასევე აღნიშნა, რომ სამეცნიერო ფესტივალი მეოთხე წელია იმართება. ამ იდეის ავტორი და განმახორციელებელი კი თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე გახლდათ.



ფესტივალის ფარგლებში 500-ზე მეტი ღონისძიება ჩატარდა

„ჩვენ ვატარებთ სახალისო ქიმიურ ექსპერიმენტებს. გვინდა, ყველას დავანახოთ, რომ ქიმია აუცილებელია, ყოველდღიურად ვხედავთ სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებებს და მათგან დამზადებულ სხვადასხვა მასალას. შესაბამისად, ადამიანის ყოფაში ქიმიის დიდი დანიშნულება აქვს. გვინდა მოსწავლეები ქიმიით უფრო მეტად დაეინტერესონ“, — განაცხადა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაკრომოლეკულების ქიმიის ლაბორატორიის გამგემ, საბავშვო უნივერსიტეტის ქიმიის კოორდინატორმა ელიზა მარქაშვილმა.

ივანე ბერიტაშვილის სახელობის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრმა, სხვადასხვა სახალისო ქიმიურ ექსპერიმენტებთან ერთად, ერთგვარი „ჭკვიანი ბალიშიც“ წარმოადგინა.

„ეს ბალიში ხელს უწყობს ადამიანებში ლუციდური სიზმრების გამოწვევას. ლუციდურს

უწოდებთ ისეთ სიზმარს, როდესაც ადამიანმა იცის, რომ ძილში იმყოფება და მისი გააზრებულად მართვა შეუძლია. ბალიშზე სპეციალური სენსორებია მიმაგრებული, რომელიც ძილის ფაზის იდენტიფიცირებას ახდენს და იწყებს მძინარე ადამიანისთვის სხვადასხვა გამლიზინებლების მიწოდებას. ადამიანი არ იღვიძებს, მაგრამ გონებას ატყობინებს, რომ ლუციდური სიზმრებს ფაზაში იმყოფება“, — გვითხრა პროექტის ავტორმა მკა ბუჩუტელმა.

გამოფენაზე მოძრაობამ „არა ბარბარიზმებს!“ ახალი პროექტი — ბარბარიზმების თემაზე შექმნილი პირველი ონლაინ-თამაში შესთავაზა საზოგადოებას — სპეციალურად ფესტივალისთვის მომზადდა თამაშის ბეჭდური ვერსიები.

„ახალგაზრდები დიდი ხალისით აკეთებდნენ ამ სავარჯიშოებს. მობრძანდა თსუ-ის რექტორიც ოჯახთან ერთად, ითამაშა და ჩინებული შედეგით დაასრულა. ბარბარიზმების თემა კვლავ აქტუალურია, საჭიროა არამარტო ლექსიკონი, არამედ სპეციალური თამაშიც, რადგან ასეთი ფორმით ადამიანი უკეთ იმასწავრებს. დარწმუნებული ვარ, უფროს თაობაშიც პოპულარული გახდება, კარგი იქნება პოლიტიკოსები და ჟურნალისტებიც“

სამეცნიერო აპირაციის ფარგლებში თსუ-ის 1000-ზე მეტი უცხოელი ექსპერტი და პროფესორი ესტუმრა

ტეზიც თუ ითამაშებენ. მგონია, საუნივერსიტეტო მოძრაობის — „არა ბარბარიზმებს!“ ყველაზე დიდი დამსახურება ის გახლავთ, რომ საზოგადოებამ გააცნობიერა — ენა მისი საკუთრებაა და თავად უნდა მოუფრთხილდეს“, — განაცხადა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა, ლექსიკოგრაფმა თინათინ მარგალიტაძემ.

თსუ-ის ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სტუდენტებმა სტუდენტური სამეცნიერო-საინჟინერო პროექტი — „მდინარე ვერს ჰიდროლოგიური მონიტორინგის სისტემა“ წარმოადგინეს.

„ეს გახლავთ მდინარე ვერს მკვეტი და ჩვენ მიერ აწყობილი სენსორი, რომელსაც შეუძლია მუდმივ რეჟიმში წყლის დონის შესახებ ინფორმაციის მონოდება. იმ შემთხვევაში, თუ წყლის დონე კრიტიკულ ნიშნულს მიაღწევს, სენსორის საშუალებით სიგნალიზაცია ჩაირთვება. ჯერჯერობით დამონტაჟებული არ გვაქვს, ამ პროექტის განხორციელება დაფინანსების მოპოვების შემდეგ ვგეგმავთ“, — აღნიშნა თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სპეციალისტი სტუდენტმა ცირა დილმელიძემ.

ზიანებული ფურცლის რესტავრაციას, ვაჩვენებთ და თავადაც ვაძლევთ დამთვალელებს საშუალებას, რომ ხელნაწერი ნიგნი აკინძონ ზუსტად ისე, როგორც ეს შუა საუკუნეების დროს ხდებოდა“, — გვითხრა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო თანამშრომლობის პროექტებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ ირინა გოგონაიამ.

ფესტივალის საზეიმო გახსნისას გამოფენილი გახლდათ ქართველი გამომგონებლის — ორი გაგას საფრენი აპარატი — „ჟიროპლანი“ — ვერტმფრენისა და თვითმფრინავის ჰიბრიდი, საფრენ აპარატს 2.5 ლიტრიანი სუბარუს ძრავა აქვს და აბსოლუტურად ყველა დეტალი თავად გამომგონებლის მიერ გახლავთ აწყობილი (გარდა ძრავისა და ფრთებისა). საფრენ აპარატს ნაწილობრივ ტესტირება უკვე გავლილი აქვს.

ფესტივალის გახსნის აქტივობების ფარგლებში თსუ-ის ზოოლოგიური მუზეუმის გამოფენაც მოეწყო. დამთვალელებს ნილოსის ნიანგის, სამხრეთ ამერიკის ჯავშნოსანის, გველიჭამია არნივის, ორბის, ხერხთევას და სხვა ცხოველების ფიტულების ნახვის შესაძლებლობა მიეცათ. გეოლოგიის დეპარტამენტის მინერალოგიის სასწავლო სამეცნიერო ლაბორატორიამ კი, როგორც საქართველოდან, ასევე სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოტანილი მინერალები გამოფინა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ექსპერიმენტები: „სტუდენტური სამეცნიერო პროექტი — „მზაური თბილის ქალაქი“, „ჭკვიანი საგნები“, „სახლის მცენარეების ავტომატური სარწყავი სისტემა“, პროექტი „პერსონალური რადიოლოკატორი „დამურის ალღო“, „ხედავ და ორიენტირება შეზღუდული ხედვის პირობებში“ და ა.შ.

თითოეული პროექტი, ექსპერიმენტი, პრეზენტაცია თუ სამუშაო შეხვედრა საზოგადოებისთვის გასაგებ, პოპულარულ ენაზე და სახალისო მეთოდების გამოყენებით ჩატარდა.

„მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2018“ საზეიმო გახსნის ღონისძიება საღამოს თსუ ART-ის კონცერტით დასრულდა.


ნათო ოზოლაკა

CERN-ის გამოფენა თსუ-ში

მაია ტორაძე

ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი, რომ ქართველი მეცნიერები აქტიურად არიან ჩართულნი CERN-ის ექსპერიმენტებში: ATLAS და CMS. გამოფენის ორგანიზატორებმა, ატომური ამაჩქარებლის მუშაობის სპეციფიკასთან ერთად, განსაკუთრებით გამოკვეთეს ქართველების წვლილი ამ ექსპერიმენტებში.

„ჩვენ ვცდილობთ, განვმარტოთ ბუნების საიდუმლოებები, დაწვებული კოსმოსის წარმოშობიდან“, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში მიკ სთორმი, ხოლო მაიკლ ჰოჩიმ დაწვრილებით ისაუბრა CERN-ის გამოფენით ახალგაზრდების დაინტერესების მნიშვნელობაზე: „ამ ტიპის გამოფენები არ მოიცავს მხოლოდ ATLAS-ს და CMS ექსპერიმენტებს და კვლევებს, ეს არის უფრო ფართო და მრავალსაზრისწოდებელი მასალა ახალგაზრდებისთვის. მასში ჩართულია საკმაოდ ბევრი მეცნიერი, სხვადასხვა კვლევითი ცენტრი, ფიზიკოსთა და ასტროფიზიკოსთა ასოციაციები. ჩვენ კი აქ სამეცნიერო ექსპერიმენტს გადმოვცემთ, როგორც ხელოვნებას. გამოფენაზე მოსუ-



ლი დამთვალელებელი ნახავს სხვადასხვა საერთაშორისო დონის ხელოვანსა და მათ ნამუშევრებს, ჩავატარებთ ლექციებსა და სემინარებს მთელი კვირის განმავლობაში. ჩვენი აუდიტორია, რა თქმა უნდა, არის მომავალი თაობა — ახალგაზრდები.


გვინდა, მათ ავუსხნათ და ვაჩვენოთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ სამეცნიერო ექსპერიმენტების კონცეფცია და მეთოდოლოგია. ასევე, გვინდა დაინტერესებულ პირებს დავანახოთ, თუ როგორ შეიძლება მეცნიერების, როგორც ხელო-

ნების ერთ-ერთი დარგის, პრეზენტაცია“, — აღნიშნა მაიკლ ჰოჩიმი.

მან ასევე ისაუბრა ცერნის მნიშვნელობაზე და კიდევ ერთხელ დაასახუტა, რომ ეს არის ყველაზე მსხვილი სამეცნიერო დაწესებულება ნაწილაკების ფიზიკაში, სადაც მსოფლიოს ყველა კუთხიდან იკრიბებიან მეცნიერები და ატარებენ სხვადასხვა ექსპერიმენტს: „ჩვენ ვქმნით და ვიყენებთ მუშაობის ახალ მოდელებს და მუდმივად ვცვლით ძველ სტანდარტებს. ჩარჩოებიდან გამოვალა კი გვაძლევს რაღაც ახალს და უფრო საინტერესოს. ის, რასაც ცერნში ვაკეთებთ, არის თეორიების დამტკიცება, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ექსპერიმენტულ ფიზიკაში. ასეთი შეხვედრები შესაძლებლობას იძლევა, რომ ჩვენი სამეცნიერო ნაშრომები და ზოგადად, მოღვაწეობა გავაცნოთ ფართო აუდიტორიას და ახალგაზრდა მეცნიერებს, რომ მათ, უკვე შემდგომში, შეძლონ ამ ყველაფრის გამოყენება ახალ კვლევებსა და ექსპერიმენტებში“, — გვითხრა მაიკლ ჰოჩიმი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმი გამოფენას ერთი კვირა მასპინძლობდა.

ეგზოკლანების საუბრა



რა არის ეგზოპლანეტები და როგორია მათი ფიზიკური თვისებები? არსებობს თუ არა გარე გალაქტიკური ობიექტები და უცნობი პლანეტები? რამდენი სინათლის წელი გვაშორებს იმ დრომდე, სანამ მსოფლიო ახალ დასახლებულ ადგილებს კოსმოსში აღმოაჩენს? — ამ თემებზე აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორმა მათა თოდუამ 27 სექტემბერს გამართულ საჯარო ლექციაზე ისაუბრა.

რის მანძილი კიდევ უფრო გაიზრდება. ვინაიდან საჯარო ლექციაზე დასწრება ყველასთვის თავისუფალი იყო, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დარბაზში სხვადასხვა ასაკის ადამიანმა მოიყარა თავი.

ლექცია საინტერესო აღმოჩნდა ნიკოლოზ ცქიტიშვილისთვის. მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეა, მალე ჩინეთის საერთაშორისო ოლიმპიადზე ასტრონომიის კლუბის სახელით წარსდგება. როგორც თავად ამბობს, მსგავსი ტიპის ღონისძიებები საჭიროა მათი ასაკის ადამიანებისათვის, რადგან მეცნიერება ვითარდება და მნიშვნელოვანია, ჰქონდეთ მეტი ინფორმაცია ამ მიმართულებით. „ასტროფიზიკის კვლევები გვეხმარება ფიზიკის ბევრი კანონის გააზრებაში. კოსმოსური მოვლენების დაკვირვებით შესაძლებელია დედამიწაზე აღმოვაჩინოთ საინტერესო სიახლეები“, — გვითხრა მან.

ლონისძიება „საქართველოს ასტრონომიის კლუბის და თსუ-ის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ორგანიზებით გაიმართა და მასზე დასწრება ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო. ლექციის განმავლობაში ასტროფიზიკოსმა იმ მეცნიერულ მიმართულებებზე ისაუბრა, რაც ჯერ კიდევ 4 საუკუნის წინ აღმოაჩინეს წარმოდგენილად მიჩნეულად: „ასტრონომია ძალიან ვითარდება ბოლო წლებში ტექნოლოგიების დახმარებით და ეგზოპლანეტები არის ერთერთი პოპულარული თემა ასტრონომიაში. ახლანდელი თანამგზავრი გაუშვეს მონიტორინგისთვის და მან უკვე აღმოაჩინა რამდენიმე ეგზოპლანეტა. 25 წლის წინ საერთოდ არ იყო ლაპარაკი ეგზოპლანეტების შესახებ და დღეს უკვე რამდენიმე ათასი ეგზოპლანეტა არის აღმოჩენილი, მათ შორის, დედამიწის მსგავსიც“, — ამბობს მათა თოდუა.

ეგზოპლანეტებს, მათი მდებარეობიდან გამომდინარე, მზის გარე პლანეტებსაც უწოდებენ. მათს აღმოსაჩენად ნასას კვლევითმა ცენტრმა სხვადასხვა წელს ხელოვნური თანამგზავრები კოსმოსში გაგზავნა. მათ შორის აღსანიშნავია Kepler-ის ცხრამეტიანი მისია, რომლის დროსაც 2 ათეულ ათასზე მეტი ეგზოპლანეტა აღმოაჩინეს. 2018 წელს კოსმოსური კვლევის ეროვნულმა ცენტრმა ის TESS-ით ჩაანაცვლა.

საჯარო ლექციაზე საუბარი შეეხო ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სამყაროს შექმნის თეორია და სიცოცხლის არსებობა სხვა პლანეტებზე. როგორც აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მკვლევარი მათა თოდუა ამბობს, სამყარო ფართოვდება და დროთა განმავლობაში გალაქტიკებს შორის მანძილი კიდევ უფრო გაიზრდება.

ლონისძიების ორგანიზატორი იყო ასტრონომიის კლუბი, რომელიც უკვე 3 წელია არსებობს. გარდა ლექციისა, დარბაზში გამოფენილი იყო მოყვარული ასტროგრაფების სურათები, ასევე კლუბის წევრების მიერ დამზადებული ტელესკოპები.

„ჩვენ გვქონდა წარმოდგენილი ჩვენ მიერ დამზადებული ტელესკოპები და, გარდა ამისა, მოყვარული ასტროგრაფების სურათები. ამავე ფესტივალის ფარგლებში გადაწყვიტეთ, რომ ჩატარებულიყო საჯარო ლექცია ასტრონომიის თემაზე და ქალბატონი მათაც სიამოვნებით დათანხმდა ამ მოწვევას“, — ამბობს ასტრონომიის კლუბის წევრი და თსუ-ის დოქტორანტი, ასტრობოლოგი მარიკა ტარასაშვილი.

აღნიშნული საჯარო ლექცია მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში გაიმართა და მან დიდი დაინტერესება გამოიწვია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ასტრონომიისადმი ინტერესი მეტად იზრდება.

ინოვაციური, ანა ბაჟუანიშვილი
სოციალური და პოლიტიკური მეცნიერების ფაკულტეტის ურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტები

BLOOMBERG-ის ლაბორატორია თსუ-ში

თაბარ ლალიანი

25 სექტემბერს „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის 2018“ ფარგლებში Bloomberg-ის საერთაშორისო კვლევითა ლაბორატორიამ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პირველკურსელებს უმასპინძლა.

თსუ-ს Bloomberg-ის ფინანსური ბაზრების ლაბორატორიის უფროსმა სპეციალისტმა მაკა ლანაშვილმა თსუ-ის სტუდენტებს ლაბორატორიის საქმიანობა და ის სპეციალური პროგრამა გააცნო, რომელიც Bloomberg-მა მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებისთვის შექმნა. ეს პროგრამა დაწესებულია ლონდონისა და ამერიკის უნივერსიტეტებში.

Bloomberg-ი თანამშრომლობს უნივერსიტეტებთან მთელ მსოფლიოში, რომლის წყალობითაც სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ საქმიანი და ფინანსური ახალი ამბების, მონაცემების, ანალიტიკისა და კვლევების წამყვანი მსოფლიო პლატფორმა.

Bloomberg-ის ფინანსური ბაზრების ლაბორატორია აქვს ისეთ

წამყვან უნივერსიტეტებს, როგორცაა იელის, ჰარვარდის, ოქსფორდის, კემბრიჯის უნივერსიტეტები, ლონდონის ბიზნეს-სკოლა და სხვა. აღმოსავლეთ ევროპაში მსგავსი ლაბორატორია მხოლოდ ორ უნივერსიტეტს — კაუნსის უნივერსიტეტსა და თსუ-ს აქვთ. შესაბამისად, თსუ-ის სტუდენტებს შეუძლიათ ფინანსური განათლება მიიღონ იმ თანამედროვე მეტოფებით, რომელიც დაწესებულია მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში.

ლაბორატორიაში სტუდენტებს აქვთ წვდომა საინფორმაციო პლატფორმებზე — Bloomberg Professional, რომელსაც იყენებს 400 ათასზე მეტი ბიზნეს ლიდერი და ფინანსური პროფესიონალი მსოფლიოში. ლაბორატორიის საშუალებით სტუდენტებს, რომლებიც იმუშავენ ამ პლატფორმასთან, გათვითცნობიერებული ექნებათ უახლესი ტენდენციები, მიიღებენ პრაქტიკულ და თეორიულ ცოდნას, რომელიც აუცილებელია ფინანსურ ბაზრებისა და ფინანსურ ინსტიტუტებში დასაქმებული ნებისმიერი პროფესიონალისთვის, — განაცხადა მაკა ლანაშვილმა.

თსუ-ის ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია მოხმადეს ლაბორატორიაში და სასურველი ინფორმაცია მოიძიოს თავისი პრეზენტაციისა თუ კვლევისათვის. Bloomberg-ის ლაბორატორიის ტერმინალების გამოყენება სტუდენტებს აბსოლუტურად უფასოდ შეუძლიათ. სტუდენტებს ლაბორატორიაში საშუალება აქვთ გაიარონ ტერმინალების გამოყენების შესასწავლად ონლაინ კურსი, რომელიც პროგრამის 4 მოდულს მოიცავს და აიღონ საერთაშორისო ინგლისურენოვანი სერტიფიკატი. კურსის ღირებულება 250 დოლარია, მაგრამ ამ სერვისს თსუ თავის სტუდენტებს სრულიად უსასყიდლოდ სთავაზობს.

Bloomberg-ის სისტემა მთელ მსოფლიოში აპრობირებულია და ის ფინანსისტების ყოველდღიურება და მომავალია. სტუდენტები შეძლებენ, ამ მიმართულებით, პრაქტიკული გამოცდილება მიიღონ. შემდეგ კი, როცა კერძო თუ საჯარო სექტორში იმუშავენ, ეს ყველაფერი გამოიყენონ“, — განაცხადა მაკა ლანაშვილმა, რომლის საჯარო ლექციაში Bloomberg-ის საერთაშორისო კვლევითი ლაბორატორიის საქმიანობის შესახებ სტუდენტებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

ბიზნეს ინჟინერი სტუდენტური პროექტებისთვის

თაბარ ლალიანი

თსუ-ის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიაში და ბიზნეს ინჟინერებმა 25 სექტემბერს „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის 2018“-ის ფარგლებში თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პირველკურსელებს უმასპინძლა. შეხვედრას საინფორმაციო-გაცნობითი ხასიათი ჰქონდა. ფაბლაბის სპეციალისტი გიორგი კიკოლაშვილი სტუდენტებს ლაბორატორიის მუშაობის პრინციპებზე და ლაბორატორიაში განლაგებული აპარატურის შესახებ ესაუბრა.

ინოვაციების ლაბორატორია და ბიზნეს ინჟინერები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015 წლიდან ფუნქციონირებს.

Fabrication Laboratory (Fab Lab) — ფაბლაბი არის სრულიად ახალი, უნიკალური სივრცე ნებისმიერი სტუდენტისათვის, რომელსაც აქვთ იდეა და სურს მისი განხორციელება ან start-up ბიზნესად ჩამოყალიბება. ამ ლაბორატორიაში ხდება ახალი ნამონკების სრულიყოფა და ახალგაზრდა ინოვაციორების იდეების რეალიზება.

ფაბლაბი აღჭურვილია ზუსტად იმ აპარატურული ციკლით, რომლის ანალოგებიც არის მასშტაბის ტექნოლოგიური უნივერსიტეტში — MIT-ში. აღნიშნული დანადგარები ერთად იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ფაბლაბში მოსულმა ინოვაციორმა შეძლოს ტექნიკურად მუშა ან ვიზუალურად მაღალი დონის ხარისხიანი პროტოტიპების დამზადება. მას ექნება შესაძლებლობა სტარტაპი განახორციელოს, დაფინანსება მიიღოს და გადავიდეს მასიურ წარმოებაზე.

2017 წლის სექტემბრიდან ფაბლაბი ჩართო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესში და დაიწყო ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარება იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც აირჩიეს სასწავლო კურსი „პრაქტიკული მეცნიერება“. ამ კურსის ფარგლებში განხორციელდა 15 პროექტი, რომელზეც 150-მდე სტუდენტი მუშაობდა.

„ფაბლაბში სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები, სრულიად უსასყიდლოდ ახდენენ საკუთარი იდეების პრაქტიკულ რეალიზაციას. აქ ყველაფრის წარმოება უსასყიდლოდ არის შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი იდეა უკვე start-up ბიზნესად ჩამოყალიბდა, საკუთარი კაპიტალიც მოიზიდა და უკვე დამოუკიდებლად ფუნქციონირებს“, — განაცხადა გიორგი კიკოლაშვილმა.

სამომავლოდ უნდა აღინიშნოს, რომ სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია და ბიზნეს ინჟინერი, თსუ-ის სტუდენტების ჩართულობის ასამაღლებლად, სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებას გეგმავს. გაიზრდება თსუ-ის ფაბლაბის ჩართულობა სხვადასხვა საგანმანათლებლო და საერთაშორისო პროექტში, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტების ცოდნის ამაღლებას ბიზნესის დაწყებისა და განხორციელების კუთხით.

სტუდენტები დიდი ინტერესით ეცნობოდნენ ლაბორატორიის ტექნიკურ აღჭურვილობას და აღერთვინებდნენ ვერ მალავდნენ აქ წარმოდგენილი ნიმუშების გაცნობისას. პირველკურსელებმა იმედი გამოთქვეს, რომ ლაბორატორიის მუშაობაში აქტიური ჩართულობა მომავალში მათ წარმატებულ ბიზნესსაქმიანობას უზრუნველყოფს.

ნული დანადგარები ერთად იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ფაბლაბში მოსულმა ინოვაციორმა შეძლოს ტექნიკურად მუშა ან ვიზუალურად მაღალი დონის ხარისხიანი პროტოტიპების დამზადება. მას ექნება შესაძლებლობა სტარტაპი განახორციელოს, დაფინანსება მიიღოს და გადავიდეს მასიურ წარმოებაზე.

2017 წლის სექტემბრიდან ფაბლაბი ჩართო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესში და დაიწყო ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარება იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც აირჩიეს სასწავლო კურსი „პრაქტიკული მეცნიერება“. ამ კურსის ფარგლებში განხორციელდა 15 პროექტი, რომელზეც 150-მდე სტუდენტი მუშაობდა.

„ფაბლაბში სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები, სრულიად უსასყიდლოდ ახდენენ საკუთარი იდეების პრაქტიკულ რეალიზაციას. აქ ყველაფრის წარმოება უსასყიდლოდ არის შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი იდეა უკვე start-up ბიზნესად ჩამოყალიბდა, საკუთარი კაპიტალიც მოიზიდა და უკვე დამოუკიდებლად ფუნქციონირებს“, — განაცხადა გიორგი კიკოლაშვილმა.

სამომავლოდ უნდა აღინიშნოს, რომ სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია და ბიზნეს ინჟინერი, თსუ-ის სტუდენტების ჩართულობის ასამაღლებლად, სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებას გეგმავს. გაიზრდება თსუ-ის ფაბლაბის ჩართულობა სხვადასხვა საგანმანათლებლო და საერთაშორისო პროექტში, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტების ცოდნის ამაღლებას ბიზნესის დაწყებისა და განხორციელების კუთხით.

სტუდენტები დიდი ინტერესით ეცნობოდნენ ლაბორატორიის ტექნიკურ აღჭურვილობას და აღერთვინებდნენ ვერ მალავდნენ აქ წარმოდგენილი ნიმუშების გაცნობისას. პირველკურსელებმა იმედი გამოთქვეს, რომ ლაბორატორიის მუშაობაში აქტიური ჩართულობა მომავალში მათ წარმატებულ ბიზნესსაქმიანობას უზრუნველყოფს.



„ჯავახიშვილის სახელობის პროექტებისთვის“ -ს ათბობის პროექტისთვის

ნაბო ობოლაძე

10 წელია თსუ-ის კავკასიოლოგიის ინსტიტუტი სამეცნიერო სამეცნიერო შურნალს — „კავკასიოლოგიური ძიებანი“ გამოსცემს. 24 სექტემბერს ინსტიტუტის ორგანიზებით შურნალის 10-ე წლის აღსანიშნავი აღნიშნული, „სამეცნიერო შურნალი“ კავკასიოლოგიური ძიებანი“ კავკასიური იდეის კონცეპტუალურ საფუძვლებს ემყარება. მოპოვებული მიღწევებისა და თანამედროვე კვლევების კვალდაკვალ შურნალი აერთიანებს კავკასიოლოგიის პრობლემათა შემსწავლელ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებს და, შესაბამისად, განსაზღვრავს კავკასიელი ხალხების სოციალურ-



პრეზენტაცია გაიმართა. როგორც შურნალის ანოტაციაშია აღნიშნული, „სამეცნიერო შურნალი“ კავკასიოლოგიური ძიებანი“ კავკასიური იდეის კონცეპტუალურ საფუძვლებს ემყარება. მოპოვებული მიღწევებისა და თანამედროვე კვლევების კვალდაკვალ შურნალი აერთიანებს კავკასიოლოგიის პრობლემათა შემსწავლელ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებს და, შესაბამისად, განსაზღვრავს კავკასიელი ხალხების სოციალურ-ტურულ როლს“. შურნალ „კავკასიოლოგიური ძიებანი“ დანიშნულების, მნიშვნელობისა და გამოწვევების შესახებ პრეზენტაციაზე მთავარმა რედაქტორმა, პროფესორმა ცირა ბარამიძემ ისაუბრა.

„ჩვენ სამეცნიერო შურნალი შექმენით, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე. ქართულ ენაზე დანერგილი კავკასიოლოგია დარჩება მხოლოდ საქართველოში. შურნალი ავტორებს საშუალებას აძლევს, რომ მათი ნაშრომების ინტერნაციონალიზაცია მოხდეს. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც კავკასიაში არსებული ვითარების შესახებ იწერება მაშინვე და არა 10 ან 20 წლის შემდეგ. ჩვენი კონცეპტუალური მიდგომა იყო ის, რომ უნდა შეგვექმნა გამოცემა, რომელიც კავკასიის პრობლემათა კუმულირებულ მეცნიერებათა დარგებში გააერთიანებდა. შურნალი რეცენზირებადია და საერთაშორისო კოლეგია ჰყავს. „კავკასიოლოგიური ძიებანი“ იძებ-



სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტი ფასილბაი ფასილბაის ფარგლებში

საჯარო ლექციები აქტუალური საინფორმაციო

პრეტენზია ბაროვსკი

25 სექტემბერს ინოვაციისა და მეცნიერების ფესტივალის ფარგლებში თსუ-ის სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა: გიორგი გოქსაძემ, მანანა შამილიშვილმა, ხათუნა მასისაშვილმა და იოსებ სალუქვაძემ საჯარო ლექციები წაიკითხეს, რომლებიც სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა აქტუალური საკითხებს შეეხებოდა.

პროფესორმა იოსებ სალუქვაძემ ურბანული განვითარების ტენდენციებსა და გამოწვევებზე ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა, „კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპს სამართლიანად უწოდებენ „ურბანულ ერას“, რადგან მსოფლიოს მოსახლეობის 55% ქალაქებში ცხოვრობს. მე-19 საუკუნიდან მოყოლებული ურბანიზაციამ ფართო მასშტაბები შეიძინა და მე-20 საუკუნის ბოლო მეოთხედისათვის ე.წ. მაღალგანვითარებული ქვეყნები, ეკონომიკის სიმძლავრესთან ერთად, ურბანიზაციის მაღალი დონითაც გამოირჩეოდნენ. არაერთი პრობლემის მიუხედავად,

რომელიც ურბანიზაციის პროცესს თან ახლავს, მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დღევანდელი მსოფლიოს პრაქტიკულად არც ერთი ქვეყანა არ იძლევა იმის მაგალითს, რომ ეკონომიკური ზრდა და კეთილდღეობა განვითარებული ურბანიზაციის გარეშე შეიძლება იქნას მიღწეული.

ქალაქები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ არსებობს სართო პრინციპები და კანონზომიერებები, რომლებსაც ეყრდნობა ქალაქების შიდა მოწყობა. გლობალიზაციის პროცესმა შეიქმნა სტრუქტურის ახალი ნიმუშები შექმნა.

სამწუხაროდ, ქალაქების დიდი უმრავლესობა ვერ დაიკვეთს კარგი დაგეგმარებითა და ხელსაყრელი შიდასაქალაქო მოწყობით. თანამედროვე ქალაქების ყველაზე მტკივნეული პრობლემები და გამოწვევები ქარბმოსახლეობასა და მათი კეთილდღეობის საკითხებს უკავშირდება. მსოფლიოში სულ უფრო ფართოდ იკიდებს ფეხს მოწინავე ქალაქებისა და ურბანული ექსპერტების უფრო რეალისტური და პუმანისტური მიდგომებიც. კერძოდ, ქალაქების წარმატების საინდრად მი-

ჩნევენ ყველა მოქალაქისა და სტუმრისათვის თანაბრად უსაფრთხო და კომფორტული გარემოს, ღირსეული საცხოვრისისა და დასაქმების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ამ კონტექსტში ვითარდება „ინკლუზიური ქალაქის“ კონცეფცია და ინერგება პრაქტიკა, როცა ყველა მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს ყველა საქალაქო რესურსით, მიიღოს მონაწილეობა ქალაქის დაგეგმარებისა და განვითარების პროექტებში, ასევე მნიშვნელოვანი გადამწყვეტილებების მიღებაში. წინა პლანზე გადმოდის „მწვანე ქალაქის“, „კრეატიული ქალაქის“ და „გოგონიერი ქალაქის“ კონცეფციები, რაც ენერგორესურსების დაზოგვაზე, გამწვანებულ და ბუნებრივად/ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემოს შექმნაზე, მოსახლეობის კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლებაზე, მათ შემოქმედებითობასა და ინოვაციურობის ხელშეწყობაზე არის ორიენტირებული“, — აღნიშნა იოსებ სალუქვაძემ.

საინტერესო იყო თსუ-ის ასოცირებული პროფესორის ხათუნა მასისაშვილის საჯარო ლექცია „მედიის ახალი პარადიგმა: ტრადიციული და ახალი მედია“,

რომელიც შეეხებოდა ახალი მედიის სპეციფიკის შედარებას ე.წ. ძველ, ტრადიციულ მედიასთან. „მათი საერთო ფესვების დასადგენად, ზოგადად მედიის საძირკვლად ავიღეთ შემდეგი განმარტება: მედია არის ჯამი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და მასთან ასოცირებული სოციალურ-კულტურული კონტექსტისა. ეს უნივერსალური განმარტება მიესადაგება მედიის ყველა ტიპს, მათ შორის ახალ მედიასაც, ერთი დეტალის დახუსტებით; ახალი მედია არის კომპიუტერზე დაფუძნებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და მასთან დაკავშირებული სპეციფიკური კონტექსტის ნაერთი ცნება. განსხვავების დასადგენად კი — თვალსაჩინოებისთვის — სტუდენტებთან ერთად გავიხსენე კომუნიკაციის ტიპების იერარქიული პირამიდა, რომელიც მათ ჯერ კიდევ უზრუნველყოფდა მასკომუნიკაციის შესავალ კურსში შეისწავლეს. პირამიდის თითოეული საფეხური განვიხილეთ იმ ხარისხისა და ინტენსივობის მიხედვით, რომელიც დაიკვირვება როგორც ტრადიციულ, ისე ახალ მედიაში“, — აღნიშნა ხათუნა მასისაშვილმა.

თსუ-ის სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ასოცირებული პროფესორის მანანა შამილიშვილის ლექციამ — „ინფორმაციული საზოგადოებიდან სანახაობის საზოგადოებამდე“ რესენტიმენტი ქართულ ტელემედიამში“, სტუდენტების დაინტერესება გამოიწვია. სატელევიზიო შოუების, სერიალებისა და სხვა გასართობი პროდუქციის ანალიზით იკვეთება თანამედროვე მედიადისკურსის სპეციფიკა-კონტენტის „გაყვითლების“, ინფორმაციის პერსონიფიკირების, ღირებული თემების“ ინფლაციისა და აქტუალურიდან ნაკლებმნიშვნელოვანზე ყურადღების გადატანისა.

მოსხენებაში წარმოჩენილია თანამედროვე სამყაროში ესოდენ გავრცელებული ტელეპროდუქტის სერიალების როლი და გავლენა როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ისე კულტურის განვითარებაზე. ტელესერიალი გაავრცელებულია, როგორც ფართო მასაზე ფართული ზეგავლენის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება. გაანალიზებულია ცალკეული შემთხვევები და გამოკვეთილია „მელოდრამატული“ მედია კულტურის ქართული პარადიგმები.

მიზნობრივი სამეცნიერო-აქტუალური პროექტები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 26 სექტემბერს სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის უახლესი ემპირიული კვლევების პრეზენტაციას უმასპინძლა. ფაკულტეტზე მიმდინარე კვლევითი პროცესის შემაჯამებელ ღონისძიებას უნივერსიტეტის პირველ კორპუსში თსუ-ის სტუდენტები დაესწრნენ.



ნიკაძე ამბობს, კვლევითი სამუშაოების ჩატარება განაპირობა სამმა ძირითადმა მოტივაციამ: „სანაპირო ზოლის დაზიანებულმა ეკოსისტემამ, მსგავსი კვლევების ჩატარების პრეცედენტის არარსებობამ და ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მართვის პრობლემების შესწავლის აუცილებლობამ. „სასურველი იქნებოდა, ხელისუფლების წარმომადგენლებიც გაეცნობოდნენ ჩვენს შეხედულებებს, მოესმინათ, რას და როგორ ვაკეთებთ“, — აღნიშნა გიორგი კვიციანიძემ.

მომდევნო კვლევა თბილისში მიმდინარე ურბანულ ცვლილებებს შეეხებოდა. „ტერიტორიული იდენტობა თბილისის, როგორც ურბანული სივრცის, ტრანსფორმაციის პროცესში“,

— ასე ჰქვია პროფესორ რევაზ ჯორბენაძისა და ასოცირებული პროფესორის თონა მატარაძის ერთობლივ ნაშრომს. კვლევის ფარგლებში უნდა შესწავლიყო, რამდენად მოაქვს ახალ განაშენიანებას სოციალური ცვლილებები არა ეკონომიკური, არამედ კეთილდღეობის თვალსაზრისით.

თონა მატარაძემ მოწვეულ პედაგოგ ანა დიაკონიძესთან ერთად იმუშავა მეორე ნაშრომზეც, რომელიც საქართველოს შრომის ბაზრის ტენდენციების კვლევას შეეხებოდა. აღნიშნული პროექტი სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ევროკომისიის მხარდაჭერით განხორციელდა. „ეს არ არის უნივერსიტეტის ბაზაზე გაკეთებული კვლევა. დღეს

მას წარმოვადგენთ, როგორც შემთხვევას, თუ როგორ შეიძლება, აკადემიურმა პერსონალმა უნივერსიტეტის გარე განახორციელოს შეფასებითი კვლევა და ის საინტერესო იყოს, როგორც აკადემიური, ისე ინფორმაციული კუთხით“, — აღნიშნა თონა მატარაძემ ჩვენთან საუბარში.

ბოლო მოხსენება საქართველოს პოლიტიკურ გეოგრაფიასა და მის სხვადასხვა ასპექტს ეხებოდა. ასისტენტ-პროფესორ დავით სიჭინავას ნაშრომი — „ელიტები, ისტორიული მეგვიდრობა და საარჩევნო ქცევა საქართველოში“ — საქართველოს ისტორიის 3 სხვადასხვა პერიოდს მოიცავს. ნაშრომში გაანალიზებულია XX-XXI საუკუნეების პოლიტიკური პროცესებისა და ელიტების გავლენა მოსახლეობის საარჩევნო ქცევებზე. პრეზენტაციაზე განხილულ პირველ კვლევას ფაკულტეტის დეკანი თამარ დოლბაია ხელმძღვანელობდა. „მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები ფაკულტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება და პროფესორის და სტუდენტის ტანდემს ითვალისწინებს. ისინი აქტუალური საკითხს ერთად იკვლევენ და დებენ შე-

დეგებს. უნდა ვთქვათ, რომ ეს ძალიან კარგი პრაქტიკა გამოდგება და პროექტის პერსონალმა საინტერესო კვლევა ჩატარდა“, — თქვა თამარ დოლბაიამ.

მომხსენებლების თქმით, აღნიშნული პროექტები სტუდენტებს კვლევის ჩასატარებლად საჭირო უნარ-ჩვევების გამოუმუშავებაში ეხმარება. ლექტორის ან ლექტორთა ჯგუფის არჩევანის გათვალისწინებით, კვლევით საქმიანობაში ჩართვა სამივე საგანმანათლებლო საფეხურის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებს შეუძლიათ.

ფაკულტეტი უკვე მეოთხე წელია, სხვადასხვა მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით პროექტს ახორციელებს. პრეზენტაცია გაიმართა „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის“ ფარგლებში, რომელსაც წელს უნივერსიტეტი მასპინძლობს.

**სალომე სამხარაძე,
ბარბარა მარაბიშვილი**
სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის ურბანისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტები

დოქტორანტთა აქტუალური პროექტების

მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთა კვლევის პრეზენტაცია გაიმართა. კონფერენციაზე ოთხი დოქტორანტის ემპირიული კვლევის შედეგები იყო წარმოდგენილი. შეხვედრას თსუ-ის პროფესორები და სტუდენტები ესწრებოდნენ.



რენციები სტუდენტებს აჩვენებს, რომ მცირე რესურსებითაც შეუძლიათ ხარისხიანი პროდუქტის შექმნა. ზოგადად, კარგი იქნება, თუ სტუდენტებიცა და აკადემიური პერსონალიც უფრო მეტად ჩაერთვებიან ასეთ ღონისძიებებში“, — განაცხადა მან.

კონფერენციაზე პირველი გამომსვლელი რატი შუბლაძე იყო.

მან საარჩევნო ქცევის ცვლილების გამოწვევებზე მიზეზებზე ისაუბრა: „ამ საკითხით იმიტომ დაინტერესდი, რომ ზოგადად ჩემს საქმიანობასთან ახლოს დგას. კვლევაში შევეცადე, 2008 და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მაგალითზე მეჩვენებინა, თუ რა ფაქტორები განაპირობებენ ამომრჩევლის ქცევის ცვლი-

ლებას“, — აღნიშნა რატი შუბლაძემ ჩვენთან საუბარში.

აუდიტორიის წინაშე წარსდგა ეკატერინე მისიძე, რომლის მოხსენება გეო სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურას ეხებოდა და მას კატასტროფების მართვისა და პრევენციის ინსტრუმენტად განიხილა. ეკატერინეს დაინტერესება ამ თემით საქართველოში ბუნებრივ კატასტროფებთან გამკლავების სტრატეგიის არარსებობამ განაპირობა.

როგორია სტუდენტთა ციფრული ნიჭიერების დონე? მათი კულტურული კაპიტალი? ცოდნა და დამოკიდებულებები ციფრულ განზომილებებში? — თავისი კვლევითი ილანა გოგია სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემას შეეცადა. მისი თქმით, ციფრული ტექნოლოგიებით განვითარებულ ეპოქაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებმა მისი ეფექტურად გამოყენება ისწავლონ.

კონფერენციის დასასრულს, სამეცნიერო მოხსენებით გიგა ლეკვეიშვილი გამოვიდა. მისი კვლევა საქართველოს მცირე დასახლებულ პუნქტებში ენერგომომარების ტენდენციებს ეხებოდა: „ასეთი შეხვედრები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან გვეძლევა საშუალება, ჩვენი ნაშრომები სხვებსაც გავუზიაროთ, მივიღოთ რჩევები და შენიშვნები. მეცნიერებისთვის აზრთა გაცვლა-გამოცვლა სასიცოცხლოდ აუცილებელია“, — აღნიშნა გიგა ლეკვეიშვილმა ჩვენთან საუბარში.

**ინინი ტაველიძე,
თაოლა ყაჩიური**
სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის ურბანისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტები

ინსულტის პრევენცია და მკურნალობა — მე-7 რეგიონული კონფერენცია

მეცნიერებისა და ინოვაციების და მეცნიერების ფესტივალის კვირეულის ფარგლებში, 27 სექტემბერს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ინსულტის ასოციაციის ორგანიზებით, ოფიციალურად გაიხსნა მეშვიდე რეგიონული კონფერენცია — „ინსულტის პრევენცია და მკურნალობა — თბილისი 2018“.

კონფერენცია ინსულტის მსოფლიო ორგანიზაციის ეგიდით გაიმართა. სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ინსულტის დარგში მოღვაწე მსოფლიოს გამოჩენილმა მეცნიერებმა, ნეირომეცნიერებმა, ნევროლოგებმა, ინსულტის სპეციალისტებმა და რადიოლოგებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებიდან, კანადიდან, ისრაელიდან და საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან.



რეაბილიტაცია, ფსიქოსოციალურ-ეკონომიკური ასპექტები. პირველი დღე პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას და ექიმების ტრენინგს დაეთმო თემაზე - თრომბის (თრომბოლიზის) დაშლა, რაც შეიძლება გამოწვეული იქნას გარკვეული პრეპარატების ზემოქმედებით და ეს ხდება ადრეულ სტადიებზე იმისათვის, რომ ინსულტი ეფექტურად დაეჭლიოთ. მომდევნო ორი დღე სამეცნიერო, პრაქტიკული საკითხებით იყო დატვირთული. საკუთარი კვლევების შედეგები მოგვასხს მსოფლიოს წამყვანმა მეცნიერებმა. მე ვფიქრობ, რომ ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული სამედიცინო საზოგადოებისათვის. რეგიონული კონფერენცია ტრადიციულად გაგრძელდება და, როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით, მნიშვნელოვან შედეგს მოიტანს“, — აღნიშნა ალექსანდრე ცისკარიძემ.



კონფერენციას იმ ფარმაცევტული კომპანიის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი ინსულტის სამკურნალო და დაავადების პრევენციისთვის საჭირო პრეპარატების შექმნასა და წარმოებაში. იაპონური ფარმაცევტული კომპანიის „ტაკედას“ სამედიცინო მრჩეველის, მანანა ძაძუას თქმით, მათი კომპანია ყოველთვის ცდილობს მხარში დაუდგეს მსგავსი კონფერენციების ორგანიზებას, რადგან ეს რეალურად ხელს უწყობს ერთმანეთისთვის ცოდნის, გამოცდილების გაზიარებას და ინსულტის ადრეულ ეტაპზე პრევენციისთვის შესაბამისი ზომების მიღებას.

„ეს კონფერენცია და ჩემი პრევენცია მნიშვნელოვანია, რადგან მსოფლიო ინსულტის ორგანიზაციებს და მეცნიერებს აძლევს შანსს, ჩამოვიდნენ კავკასიაში და გაეცნონ იმ მნიშვნელოვან ცვლილებებსა და სიახლეებს, რაც ამ სფეროში მიმდინარეობს. ასევე, იმ კავკასიელ მეცნიერებს, რომლებსაც არ შეუძლიათ გაემგზავრონ და დაესწრონ ძირითად შეხვედრებს ევროპაში, ამერიკასა და აზიაში, შეუძლიათ მოისმინონ ინსულტის მიმართულებით უახლესი კვლევების შედეგები, მიიღონ ინფორმაცია, თუ როგორ უმკურნალონ ინსულტს, რომელიც არამართო კავკასიაში, არამედ მთელს მსოფლიოში პრობლემატური საკითხია“, — აღნიშნა მან ჩვენთან საუბარში.

რეგიონული კონფერენცია — „ინსულტის პრევენცია და მკურნალობა — თბილისი 2018“ სამი დღის განმავლობაში სასტუმრო ქორთიარდ მარიოტში მიმდინარეობდა. მონაწილემა მეცნიერებმა საკუთარ მოხსენებებში ინსულტის პრევენციაზე, დიაგნოსტიკასა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდებზე ისაუბრეს. ასევე, ხაზი გაუსვეს ასეთი მასშტაბის კონფერენციების მნიშვნელობას, რომელიც მსოფლიოს წამყვან სპეციალისტებს საკუთარი ცოდნისა და მიღწევების ერთმანეთისთვის გაზიარების საშუალებას აძლევს.

კონფერენციას „ინსულტის პრევენცია და მკურნალობა — თბილისი 2018“ ესწრებოდა ამერიკის შეერთებული შტატებში მოღვაწე ქართველი მეცნიერი ზურაბ ნადარეიშვილი, რომელიც ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და ინსულტის ცენტრის „Virginia hospital center“-ის სამედიცინო დირექტორია.

„ჩვენთან მსოფლიოს ლიდერი ექიმები და წამყვანი სპეციალისტები ჩამოვიდნენ და ქართულ ნევროლოგიურ საზოგადოებას უახლეს ფაქტებზე დაფუძნებული სამედიცინო კვლევების შედეგები გააცნეს. ჩემი პრევენცია უშუალოდ ეხებოდა საძილე არტერიის ათეროსკლეროზის დროს ინსულტის

პრევენციას. ასევე, მინდა ხაზი გავესვა, რომ სისტემატურად ვთანამშრომლობთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ნევროლოგიის კათედრასთან, რომელსაც ქალბატონი მარინა ჯანელიძე ხელმძღვანელობს. მასთან და მის თანამშრომლებთან ერთად ბოლო სამი წლის განმავლობაში ორი სამეცნიერო სტატია გამოვაქვეყნეთ, რომელიც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსდა. გვაქვს ახალი ინიციატივები და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება“, — აღნიშნა ზურაბ ნადარეიშვილმა.

კონფერენციას იმ ფარმაცევტული კომპანიის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი ინსულტის სამკურნალო და დაავადების პრევენციისთვის საჭირო პრეპარატების შექმნასა და წარმოებაში. იაპონური ფარმაცევტული კომპანიის „ტაკედას“ სამედიცინო მრჩეველის, მანანა ძაძუას თქმით, მათი კომპანია ყოველთვის ცდილობს მხარში დაუდგეს მსგავსი კონფერენციების ორგანიზებას, რადგან ეს რეალურად ხელს უწყობს ერთმანეთისთვის ცოდნის, გამოცდილების გაზიარებას და ინსულტის ადრეულ ეტაპზე პრევენციისთვის შესაბამისი ზომების მიღებას.

კონფერენციაზე არაერთმა უცხოელმა სპეციალისტმა წარმოადგინა საკუთარი კვლევების შედეგები. მათ შორის გახლდათ ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის დოქტორი ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის დარგში პროფესორი დანიელ ჰელნი.

რეგიონული კონფერენცია „ინსულტის პრევენცია და მკურნალობა“ პირველად 2000 წელს გაიმართა და მას შემდეგ ყოველ სამ წელიწადში ერთხელ მასპინძლობს მსოფლიოს წამყვან სპეციალისტებს. როგორც ჩვენმა რესპონდენტებმა აღნიშნეს, კონფერენცია ხელს უწყობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ერთმანეთისთვის გაზიარებას.

ნოდარ ლაფანავილი,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ურბანისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტი

საპატიო დოქტორის წოდება ოთხ უცხოელ პროფესორს მიენიჭა

თამარ ლალიანი

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალ 2018-ს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები და პრევენციური ღონისძიებები მიეძღვნა. ერთერთი ყველაზე გამორჩეული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ცერემონია იყო, რომელიც 27 სექტემბერს გაიმართა. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, ქართველი და უცხოელი პროფესორები და სტუდენტები ესწრებოდნენ.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის გამოირჩეოდა ფართო საერთაშორისო კავშირებით, პარტნიორ უნივერსიტეტებთან აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომლობით. საუნივერსიტეტო სწავლების ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

თსუ-ის რექტორის, გიორგი შარვაშიძის განცხადებით, „საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭათ ჩვენი პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლებს, საერთაშორისოდ აღიარებული უნივერსიტეტების რექტორებს, ცნობილ მეცნიერებს, რომლებიც ხელს უწყობენ ჩვენს უნივერსიტეტთან სხვადასხვა სახის ურთიერთობის განვითარებას.“

თბილისის უნივერსიტეტი უკვე 100 წელია, საპატიო ხარისხს ანიჭებს ისეთი რანგის მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებს, რომლებიც გვერდში უდგანან ჩვენს უნივერსიტეტს დასახული მიზნების მისაღწევად.

„უნივერსიტეტის წინაშე განუვლი ღვაწლისთვის დღეს 4 პროფესორს მიენიჭეთ საპატიო დოქტორის წოდება. ორი მათგანი სამართლის დარგის სპეციალისტია, ორი კი მათემატიკის მიმართულეობისა. მათ უდიდესი ღვაწლი მიუძღვით ბევრი ქართველი მეცნიერის აღზრდის საქმეში. სწორედ ამ დამსახურებისთვის მიენიჭათ მათ ყველაზე მაღალი წოდება, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა, რომელმაც დაამსწრე საზოგადოებას თსუ-ის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება გააცნო, რასაც საპატიო დოქტორების მანტიით შემოსვა და ეტრატების საზეიმო გადაცემა მოჰყვა.

კიოლის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორმა ჰანს პრუტინგმა მაღლობა

გადაიხადა და აღნიშნა, რომ კიოლისა და თბილისის უნივერსიტეტებს შორის საუკეთესო ურთიერთთანამშრომლობის ტრადიცია არსებობს, კონკრეტულად, იურიდიულ სფეროში. „კიოლის უნივერსიტეტში სისტემატურად ჩამოვინა სტუდენტები თბილისიდან, რომლებიც წელიწადნახევრის ან ერთი წლის განმავლობაში სწავლობენ კიოლში და შემდეგ მაგისტრის ხარისხს იღებენ. ჩვენი თანამშრომლობის შედეგად, გაცვლითი პროგრამებით ბევრმა სტუდენტმა ისარგებლა. მინდა, მაღლობა გადავუხადო კიოლის უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებს ნაყოფიერი ურთიერთობისთვის, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებენ“, — აღნიშნა თსუ-ის საპატიო დოქტორმა ჰანს პრუტინგმა.

„ჩემთვის დიდი პატივია ქვეყნის უმნიშვნელოვანესი და ლიდერი უნივერსიტეტის სამეცნიერო ჯილდო. მივესალმები ქართველი სტუდენტების მოზადების მაღალ დონეს და მათ ჩართულობას ჩვენი უნივერსიტეტების ერთობლივ სამეცნიერო პროექტებში. დღეს აკადემიური ურთიერთთანამშრომლობა უფრო აქტიური გახდა და ის ორივე მხრისთვის მნიშვნელოვანი შედეგის მომცემია“, — აღნიშნა ზაარლანდის უნივერსიტეტის დოქტორმა, პროფესორმა ტიცინა ქიუზიმი.

სამადლობელი იტიყები წარმოქმნის აგრეთვე: გიოტინგენის გეორგ-ავგუსტის უნივერსიტეტის პროფესორებმა რალფ მაიერმა და ინგო ვიტემ.

აღსანიშნავია, რომ იმ დღესვე „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალ 2018“-ის ფარგლებში თსუ-ის საპატიო დოქტორებმა საჯარო ლექციები წაიკითხეს.



საჯარო ლექცია ტურიზმის განვითარების შესახებ

თამარ ლალიანი

დღეს ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორია საქართველოში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკის განვითარებისათვის, ამიტომ საქართველოში ტურიზმი ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქნა გამოცხადებული. ტურიზმის განვითარებას საქართველოში დიდი პოტენციალი აქვს. ის შემოსავლებისა და დასაქმების შესაძლებლობების ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.



იოსებ ხელაშვილი

საჯარო ლექციას ესწრებოდნენ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. ლექციის თემა ეძღვნებოდა საქართველოში ტურიზმის სწრაფი განვითარების აქტუალურ საკითხებს და გამოწვევებს მდგრადი განვითარების კონტექსტში. მომხსენებლის კვლევაში, წარმოდგენილი იყო ავტორის მოსაზრებები ტურიზმის მდგრადი განვითარებაზე საქართველოში, მოსალოდნელ გამოწვევაზე და მათ შესაძლო დაძლევაზე. პროფესორმა იოსებ ხელაშვილმა თავის ლექციაში განიხილა მდგრადი განვითარების კონცეფციის ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპები, ქვეყანაში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების თავისებურებები და მისი გარემოზე ზეგავლენის საკვანძო სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორები, მათ შორის — ე.წ. სატელიტური დარგების განვითარება, მულტიპლიკატორის ეფექტი, ზეგავლენა ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაზე და დასაქმებაზე. ჩატარებული ანალიზის შედეგად, წარმოდგენილი იყო ტურიზმის მდგრადი განვითარების გამოწვევები და მათი გადალახვის კონცეფტუალური მოსაზრებები. ლექციაზე აღინიშნა ტურიზმის მდგრადი განვითარების 5 პრინციპი: ტურისტთა მოთხოვნების დაკმაყოფილება მომავალი თაობების მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობების გათვალისწინებით; ყველა დანერგებული მხარის ინტერესების გათვალისწინება გადაწყვეტილებების მიღებაში; ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების ხედვა სოციალურ, ეკონომიკურ და ბუნებრივ გარემოსთან ურთიერთობაში და სხვა. შემდეგ ყურადღება დაეთმო ტურიზმის ინდუსტრიის გარემოზე ზეგავლენის თავისებურებებს. აღინიშნა ტურისტებისათვის დამახასიათებელი ხარჯების

გაღების შედარებით მაღალი მზაობა, რაც სტიმულირებას უწევს ტურისტებისა და ტურიზმის ინდუსტრიის მომსახურე და მომმარაგებელი მენარმოების სწრაფ განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნას და ქვეყნის საჯარო ბალანსის დეფიციტის შემცირებას. ტურიზმის მდგრადი განვითარება ითვალისწინებს დარგის სტაბილურ ფუნქციონირებას ხანგრძლივ პერიოდში ჩართული მხარეების ინტერესების დაბალანსებით და გარემოსთან რაციონალური ურთიერთობით. საქართველოში ტურიზმი ვითარდება მზარდი ტემპებით და იკავებს წამყვანი მიმართულების პოზიციებს გარემოზე სისტემური და მასშტაბური ზეგავლენით. შესაბამისად, იზრდება მდგრადი განვითარების გამოწვევების გათვითცნობიერების, შესწავლის და თანმხლები პრობლემების გადაჭრის აქტუალობა. „წარმოდგენილი დარგის მაკროეკონომიკური ინდიკატორები ადასტურებს, რომ ეს ინდუსტრია ქვეყანაში ხასიათდება ეკონომიკაზე და სოციალურ გარემოზე ზეგავლენის მნიშვნელოვანი პოტენციალით, რაც მდგრადი განვითარების კონტექსტში საჭიროებს კომპლექსურ ანალიზს

და მოსალოდნელი გამოწვევების გათვალისწინებას“, — გვითხრა პროფესორმა იოსებ ხელაშვილმა. მდგრადი განვითარების კონტექსტში აღინიშნა ისეთი გამოწვევები, როგორც ტურიზმის ინდუსტრიის დამოკიდებულება ბაზრის ცალკეულ და რისკის შემცველ სეგმენტებზე, მზარდი დამოკიდებულება იმპორტულ მომარაგებაზე, ადგილობრივი მცირე ტურისტული ბიზნესის მსხვილ კომპანიებთან კონკურენციაში შესვლის მოსალოდნელი რისკები და ტურიზმის განვითარების სოციალური გამოწვევები. დასასრულს განხილულ იქნა ტურიზმის შემდგომი განვითარების კონცეპტუალური მიმართულებები მდგრადი განვითარების კონტექსტში. ყურადღება დაეთმო ასევე, საინვესტიციო ფონდების დაარსებას მცირე ინვესტორების რესურსების კონცენტრაციისათვის მსხვილ და უფრო სტაბილურ საინვესტიციო პროექტებში; დესტინაციებში მცირე მენარმოების მიერ საერთო ინტერესების ბაზაზე აღიანების შექმნის მნიშვნელობას მათი კონკურენტუნარიანობის გასამტკიცებლად. ლექციის ბოლოს პროფესორმა იოსებ ხელაშვილმა მსმენელთა შეკითხვებს უპასუხა.

თუ რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს საქართველოში ტურიზმის განვითარება, ამ საკითხზე საინტერესოდ ისაუბრა პროფესორმა იოსებ ხელაშვილმა 27 სექტემბერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ საჯარო ლექციაზე: „საქართველოში ტურიზმის მდგრადი განვითარების ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები“.

TSU-ში ახალი სმარტლაბი SMART|Smr_lab (School meets Research) გაიხსნა



ივან ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კიდევ ერთი სმარტლაბი SMART|Smr_lab (School meets Research) გაიხსნა, რომელიც სკოლის მოსწავლეებისთვის იქნება განკუთვნილი. სადემონსტრაციო სამუშაოებისთვის საჭირო ინსტრუმენტებით, აპარატურით სმარტ-ლაბორატორიის აღჭურვა იულისის (გერმანია) კვლევითი ცენტრი უზრუნველყოფს. დოკუმენტს ხელი თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე თევზაძემ, იულისის (გერმანია) კვლევითი ცენტრის დირექტორთა საბჭოს წევრმა მეცნიერებმა შეიძღვა. ის იულისის კვლევითი ცენტრის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა პანს შტროერმა მოაწერეს. „სასკოლო ლაბორატორია (Julab) სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის გაცვლით პროგრამებსაც განახორციელებს. თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის თქმით, იულისის კვლევითი ცენტრის ხელშეწყობით უნივერსიტეტს უკვე აქვს ორი SMARTLAB-ი, მესამე ლაბორატორია კი ნევეროლოგიის მიმართულებით იქნება გახსნილი. „დღევანდელი მეცნიერება თანამედროვე, ახალი ლაბორატორია სკოლის მოსწავლეებისთვის იქნება გათვალისწინებული, რათა მათ სამეცნიერო ცდებში მიიღონ მონაწილეობა. ახალი SMARTLAB თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განთავსდება და იგი ნებისმიერი სკოლის მოსწავლისთვის ღია იქნება“, — განაცხადა რექტორმა. „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის ალექსანდრე თევზაძის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ სკოლის მოსწავლეები სამეცნიერო აქტივობებში ჩაერთვებიან და შესაბამის ინფორმაციასაც მიიღებენ. „იულის-

ხის კვლევითი ცენტრსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით დაგეგმილია მეცნიერებისა და ახალგაზრდული პოპულარული კვლევების ინტეგრაციის ხელშეწყობა“, — აღნიშნა მინისტრის მოადგილემ. იულისის კვლევითი ცენტრის დირექტორთა საბჭოს წევრის სებასტიან შმიდტის თქმით, საჭიროა ახალგაზრდა თაობის, ახალგაზრდა მეცნიერების ნახალისება, რომელიც სკოლის პერიოდში უნდა დაიწყოს. „სასკოლო ლაბორატორიების საქმიანობა მეცნიერების, კვლევების განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი. ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ბავშვებს ჰქონდეთ ალტერნატივა პროფესიისა და მეცნიერების შერჩევაში. ეს ყველაფერი სამომავლოდ საქართველოს უკან დაუბრუნდება“, — აღნიშნა დირექტორთა საბჭოს წევრმა. ახალი კონცეფციის ფარგლებში ამოქმედდება ქართველი მოსწავლეების და მასწავლებლების საბოლოო გაცვლითი პროექტები. პროექტის ძირითადი მიზანია იმ ახალი მიდგომების გაცნობა, თუ როგორ აწვდიან მოსწავლეებს სკოლებში მეცნიერული კვლევების პრაქტიკაზე დაფუძნებულ ინფორმაციას. ქართულ-გერმანულ „სამეცნიერო ხიდს“ (GGSB), რომელიც იულისის კვლევითი ცენტრის (FZJ) ინსტიტუტებს საქართველოს უნივერსიტეტების (თსუ, სტუ, ილია-უნი და აგრიუნი) კონსორციუმთან აკავშირებს, 14 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ამ კონცეფციის ფარგლებში ივნიშის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და იულისის კვლევითი ცენტრის დირექციას შორის ინტერესთა დოკუმენტს მოეწერა ხელი, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სფეროში ხანგრძლივ თანამშრომლობას ითვალისწინებს. **საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი**

გარია ლორთქიფანიძის ხითხვანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის 321-ე აუდიტორია ამერიკიდან აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის სახელს ატარებს. აუდიტორია 28 სექტემბერს თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ ოფიციალურად გახსნა. პარალელურად გაიმართა მარიამ ლორთქიფანიძის კითხვანი, რომელიც ქართველი ისტორიკოსისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრის სსოვნას მიეძღვნა. ლონისძიებზე მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებმა, პროფესორებმა, მკვლევრებმა და უნივერსიტეტის თანამშრომლებმა ქართველოლოგიის მიმართულებით მოხსენებები წაიკითხეს და აღნიშნეს, რომ კითხვანი კვლევების განვითარებასა და პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის მეგობრებიც, რომელთა თქმითაც მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა პატივი სცეს და დაათვალოს ის ადამიანები, რომელთაც დიდი ღვაწლი აქვთ სამშობლოს წინაშე. ეთნოგრაფ თამარ დრაგაძეს მარიამ ლორთქიფანიძესთან მრავალწლიანი მეგობრობა აკავშირებდა და მას, როგორც დიდ პიროვნებასა და მეცნიერს იხსენებს. „ჩემთვის დღევანდელი დღე არის ძალიან მნიშვნელოვანი. ეს აუდიტორია გახდება რეალური ხატი, სადაც შესაძლებლობა გექნებათ, გაიხსენოთ ნამდვილი მეცნიერი, რომელსაც არ ეშინოდა რეჟიმის. ეს არის გზა იმისა, რომ უზიარო ჩვენი ქვეყნის წარსულს. არის თუ არა დღევანდელი უნივერსიტეტი ტრადიციების გამგრძობელი?! ალბათ, არის. ის, რომ ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძის სახელობის აუდიტორია გაიხსნა და ის, რომ ჩვენმა რექტორმა ჯერ კიდევ სამგლოვიარო მიტინგის დროს განაცხადა, რომ ის ქალბატონი მარიამის სახელობის ერთ სტიპენდიანტს დანიშნავს, ესეც

მრავლისმეტყველია. მან დაინახა, ვინ იყო ქალბატონი მარიამ, მან შეიგრძნო ყველაფერი რაც საჭირო იყო მომავალი თაობის საუკეთესოდ აღზრდისთვის და გადადგა ეს ნაბიჯი“, — აღნიშნა მან. აუდიტორიის გახსნას ესწრებოდა და კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის შვილი, პროფესორი გიორგი ოთხმეზური. როგორც თავად ამბობს, ეს დღე განსაკუთრებით სასიხარულოა არა მარტო ოჯახისთვის, არამედ უნივერსიტეტისთვისაც. „დღევანდელი დღე უნივერსიტეტისთვის არის მნიშვნელოვანი, იმიტომ, რომ ყველამ იცოდეს იმ ადამიანების შესახებ, ვისაც ძალიან დიდი დამსახურება და ღვაწლი აქვს. დღის სიყვარულს და პატივისცემას საქართველოში ვერავის ასწავლი და ვერ გაუჯიბრები, მაგრამ დედა ჩემთვის მარტო დედა არ იყო, ამიტომაც განსაკუთრებით სასიხარულოა ეს დღე ჩემთვის“, — განაცხადა გიორგი ოთხმეზურმა. კონფერენციას მთელი დღის განმავლობაში თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ზურაბ გაიპარაშვილი უძღვებოდა. ისტორიის დოქტორის თქმით, ეს არის მნიშვნელოვანი მოვლენა ქართული მეცნიერებისა და კულტურის წინაშე. ზურაბ გაიპარაშვილმა ჩვენთან საუბარში ისიც აღნიშნა, რომ რექტორის ინიციატივით მარიამ ლორთქიფანიძის კითხვანი ყოველწლიურად გაიმართება, რაც ახალგაზრდა თაობისთვის დიდი სტიმული იქნება. „ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა. ეს არის დაფასება იმ დიდი ღვაწლისა, რომელიც ქალბატონი მარიამ უნივერსიტეტის და ზოგადად ქართული მეცნიერების, საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინაშე მიუძღვის. დღესვე გაიმართა მარიამ ლორთქიფანიძის კითხვანი და ესეც ჩვენი რექტორის ინიციატივა გახლავთ. პირობაა დადებული, რომ კითხვანი იქნება ყოველწლიური. ძალიან

მნიშვნელოვანია, რომ ქალბატონი მარიამის სსოვნას არა მხოლოდ წარმოდგენილობითი ფორმა ექნება, არამედ ის იქნება მუდმივად ახალგაზრდების და აკადემიური პერსონალის კვლევის ერთგვარი სტიმულიც კი, რომ მათ ყოველწელს წარმოადგინონ მსხვერპლები. ნამდვილად, სულ სხვა უნივერსიტეტი, რადგან, როგორც დიდი ივანე ამბობდა, ერთმანეთის გვერდით მოღვაწეობენ უკვე გამობრძმედილი მეცნიერები და ახალგაზრდა მკვლევრები“, — აღნიშნა მან. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამსახურებული მოღვაწე და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მარიამ ლორთქიფანიძე 95 წლის ასაკში გარდაიცვალა. აკადემიკოსის კალამს 200-ზე მეტი ნაშრომი ეკუთვნის. მათ შორისაა რამდენიმე მონოგრაფია, სამეცნიერო სტატიები. ისტორიკოსმა თარგმნა და რუსულად გამოცემილი „ქართლის ცხოვრების“ თხზულებანი: „მატიანე ქართლისა“, „სუმბატ დავითის ძის“ „ცხოვრება და უწყყება ბაგრატიონთა“. ამ გამოცემებისთვის მეცნიერს ნიკოლოზ ბერძენიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა. მისი ნაშრომები თარგმნილია რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე. 1997 წელს ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტმა მარიამ ლორთქიფანიძე გამოჩინილ ადამიანად დაასახელა. მართლმადიდებელმა ეკლესიამ კი წმინდა გიორგის ოქროს ორდენის ორდენით დააჯილდოვა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერტუსი პროფესორისადმი მიძღვნილი ლონისძიება მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა.

ნიწო შუბაიტიძე, ანა ბაჟაშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტები



ინოვაციური პროექტები თსუ-ის ეროვნულ სამეცნიერო ბიზნისოთახში

მაია ბორაძე

მეცნიერებით დაინტერესებულნი და მომავალი თაობის სტიმულის გაზრდას ემსახურებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნულ სამეცნიერო ბიზნისოთახში გამართული ინოვაციური პროექტების გამოფენა, რომელიც ახალგაზრდა გამომგონებლებმა წარმოადგინეს.

„უპილოტო გამანადგმელი“

ანა ხუციშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია. მის გამოგონებას ჰქვია Lifesaver-ი და ის მის მამასთან, კარლო ხუციშვილთან, ერთად შექმნა. კარლო ცნობილი NASA-ს ბიჭია. მას ასე ეძახიან, რადგან მე-11 კლასში იყო, როდესაც მისი გამოგონების გამო NASA-ში მიიწვიეს. ის უამრავი გამოგონების ავტორია და დასთან ერთად ამ კუთხით დღესაც მუშაობს. Lifesaver-მა მათ ძალიან დიდი წარმატება მოუტანა მსოფლიო ოლიმპიადაზე, სადაც პირველი ადგილი დაიკავეს.


ანა ხუციშვილი: „Lifesaver-ი არის უპილოტო გამანადგმელი სისტემა, რომელიც შედგება ორი „დრონიდან“. ერთი არის გამანადგმელი, ხოლო მეორე — აღმომჩენი. იგი იმართება Ipad-ის საშუალებით და საკმაოდ ადვილი სამართავია: პირველი მათგანი იმ კოორდინატზე გაფრინდება, რომელ კოორდინატზეც მიუთითებთ და რუკაზე მონიშნავს ტერიტორიას, რომელზეც ნაღმს იძიებენ. ხოლო მეორე „დრონი“, ავტომატურად გაფრინდება მონიშნულ ადგილებზე და მოახდენს ამ ნაღმების გაუვნებელყოფას. რა თქმა უნდა, განაღმვა ხდება დისტანციურად, პაერდან და თავად „დრონი“ არ ზიანდება, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია.

ჩვენი გამოგონების დადებითი მხარე არის ის, რომ უპილოტო გამანადგმელს საშუალება აქვს, ამოხაროს და არ აამოქმედოს ნაოჭები ნაღმები. იგი გარემოზე მაქსიმალურად არის მორგებული — გააჩნია როგორც ფრთები, ისე ბორბლები და ტანკები მუხლუხებში — ქარის, ან მეჩხერი ტყის შემთხვევაში, ფრთებს ავტომატურად კეცავს და ბორბლებით გადაადგილებას იწყებს. ხოლო თუ ისეთი წინააღმდეგობა შეხვდა, რაშიც ბორბლები ვერ დაეხმარება, შემდეგ უკვე მუხლუხებს რთავს. რადგან თანამედროვე ნაღმები, მეტალის გარდა, სხვა ნივთიერებებსაც შეიცავს, ხშირად უჭირთ ხოლმე მისი აღმოჩენა და ამის გამო ძალიან ბევრი ადამიანი ფეთქდება. ეს გამანადგმელი კი არა მხოლოდ მეტალის ნაღმებს აფიქსირებს, არამედ სხვა ნივთიერებებსაც!“

„უნივერსალური უპნიანი“

მარიამ ბარიაშვილი და ნინო ბუბულაშვილი სერვანტისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „აია-GESS“-დან არიან. მათი პროექტი არის უნივერსალური უპნიანი, რომელსაც პატარულის თანამშრომლები გამოიყენებენ. აპლიკაცია გოგონებმა სკოლის სამეცნიერო კლუბში მენტორის — დავით სონლულაშვილის დახმარებით შექმნეს.

მარიამ ბარიაშვილი: „იმის მაგივრად, რომ პატარულის თანამშრომელი იდგეს გზაჯვარედინზე და ხელებით ანიშნოს მანქანებს თუ საით წავიდნენ, მას შეუძლია



დაჯდეს მანქანაში, ჩართოს ეს აპლიკაცია და დაარეგულიროს შუქნიშნის ანთების ხანგრძლივობა დღის რეჟიმის შესაბამისად. თუ გადატვირთული მოძრაობა იქნება, ის ისეთ რეჟიმში იმუშავებს, რომ საცობები შეამციროს. მაგალითად, მწვანე ფერს დიდხანს გააჩერებს. ამას ქვია ხელით მართვის რეჟიმი. პატარულის თანამშრომელს შეუძლია ეს რეჟიმი ასწავლოს და დაამახსოვროს აპლიკაციას და შეუქმნას შემდეგ ავტომატურად გაიმეორებს ამ ქმედებებს.“

„ანტიპარაზიტული და ანტიბაქტერიული საშუალება“

პროექტი „ანტიპარაზიტული და ანტიბაქტერიული საშუალებები“ პატარა ბავშვის ქართულ-ფრანგულ სკოლა-ლიცეუმში მომზადდა და ის გამოფენაზე მე-11 კლასის მოსწავლეებმა ნინო ოთარაშვილმა და ნოდარ ბროლაშვილმა წარმოადგინეს. პროექტის ხელმძღვანელი გახლდათ ქიმიის პედაგოგი, სკოლა-ლიცეუმის დირექტორი ცისიერ დილმელაშვილი.

ნინო ოთარაშვილი: „ჩვენ წარმოვადგინეთ ანტიპარაზიტული ლოსიონი-შამპუნი და ანტიბაქტერიული თხევადი და მყარი საპონი, რომელიც მოვამზადეთ კახეთში ფართოდ გავრცელებული მცენარე — ავშანისგან. ანტიპარაზიტული შამპუნი გამოიყენება ძლიერი და-

ტილიანების შემთხვევაში, დაბანადე 5 წუთით ადრე თმის მთელ სიგრძეზე ჩამოხანით. ლოსიონი მრავალჯერადი გამოყენების არის და შეიძლება გამოიყენო პროფილაქტიკის მიზნითაც.“

ნოდარ ბროლაშვილი: „ჩვენ მიერ მიღებული თხევადი და მყარი საპონით დაბანის შემდეგ პირველ ეტაპზე მცირდება ბაქტერიების შემცველობა. ანუ გამოიყენება პარაზიტების შესამცირებლად. ამისთვის ადრე იყენებდნენ 50-გრადუსიან სპირტს, მაგრამ ის ბაქტერიების შემცველობას მხოლოდ 34%-ით ამცირებდა, ხოლო ჩვენი პროდუქტი 64%-ით მეტჯერ ამცირებს და ამითაა გამორჩეული.“

ღვინიანი ბენტონიტისგან მიღებული საკვები ფაქილი

მარიამ როსტიაშვილი და მარიამ ცხვარიაშვილიც პატარა ბავშვის ქართულ-ფრანგულ სკოლა-ლიცეუმში სწავლობდნენ და იქ შეიმუშავეს ღვინიანი ბენტონიტისგან მიღებული საკვები ფაქილის მიღების ტექნოლოგია. მათი ხელმძღვანელიც ქიმიის პედაგოგი, სკოლა-ლიცეუმის დირექტორი ცისიერ დილმელაშვილი იყო.

მარიამ როსტიაშვილი: „ჩვენი პროექტის მიზანია, ღვინის წარმოების ნარჩენებიდან მიღებული პროდუქტი, როგორც არის ღვინიანი

ბენტონიტი, გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობაში, კერძოდ, ცხოველთა კვებაში. ზოგადად, ბენტონიტს იყენებენ ღვინის ქარხნებში. გამოყენების შემდეგ ამ ღვინიან ბენტონიტს ყრიან მაშინ, როდესაც ის გამდიდრებულია B2, B5 და სხვა ვიტამინებით. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ პროდუქტი, რომელიც სასარგებლო იყო, გამოგვეყენებინა და შევქმენით ასეთი ფაქილი, რომელიც პრემიუმის სახით დაემატება საკვებს, იქნება უფრო იაფი, მისაღები და ბუნებრივი. ანუ დეფიციტის პირობებში შეივსება საკვები ბაზარი.“

„ლაზერული არფა“

უაღრესად საინტერესო მუსიკალური ინსტრუმენტი წარმოადგინეს სერვანტისის სახელმწიფო სკოლა-ლიცეუმში „აია-GESS“-ის სკოლის სამეცნიერო კლუბის წარმომადგენლებმა გიორგი ბარისაშვილმა, ალექსანდრე ქაჯაიამ, გიორგი რიგიშვილმა და მარიამ გაბლიკელაშვილმა. მათ ეს პროექტი მენტორის — დავით სონლულაშვილის დახმარებით შექმნეს.

ალექსანდრე ქაჯაია: „ეს არის ლაზერული არფა, რომელიც უნარ-შეზღუდულ ადამიანებს დაეხმარება. მათ შეეძლებათ ამ ინსტრუმენტზე მარტივად დაუკრან, რადგან მას არ აქვს სიმები და მხოლოდ ლაზერის მშვეობით შეუძლიათ გაერთონ, ან პროფესიული კუთხით მიუდგენენ ინსტრუმენტულ მუსიკას.“

გიორგი რიგიშვილი: „ეს არფა შედგება ელექტრონულ ჩართული 7 ლაზერისგან. ლაზერები დამიზნებულია ფოტონებისტორზე. მისი ძირითადი მოვალეობა არის ის, რომ სინათლის ინტენსივობის ცვალებადობის შედეგად, შეამციროს წინააღმდეგობა და გაზარდოს. წინააღმდეგობის შემცირების ან გაზრდის შედეგად ეს ბრძანება გადაეცემა პლათას, რომელიც ორპოლარული კოდადია და იტანს ამ ბრძანებას და გადასცემს კომპიუტერს. ლაზერის სხივის განწყობის შედეგად გამოიქვამს ბგერა. ჩვენ შევქმენით ინსტრუმენტი კიდევ მეტად დაგვეწყოთ და უფრო პროფესიონალურ დონეზე ავიყვანოთ, რითაც მისი მასშტაბების გაზრდაც იქნება შესაძლებელი.“

„წყლის ფარი“

ბაქტერიების შემავადებელი წყლის ფარი შექმნეს და დამთავალერებულს წარუდგინეს სერვანტისის სახელმწიფო სკოლა-ლიცეუმში „აია-GESS“-ის მოსწავლეებმა მარიამ გუჯაბიძემ, შორენა გუჯაბიძემ და დეა ილარიონოვამ. პროექტს ხელმძღვანელობდა სამეცნიერო კლუბის მენტორი პროფესორი თემურ რაზ ჩიჭუა.

შორენა გუჯაბიძე: „ჩვენს სკოლაში არის სტემ-კლუბი, სადაც ვსწავლობთ იმ თემებს, რომლებიც გვაინტერესებს. ამ კლუბში უკვე ორი წელია, რაც გაერთიანებული ვარ და ძალიან ბევრი უნარ-ჩვევა შევიძინე, რომელიც პროექტებში დამჭირდა. ამ ღონისძიებაზე გამოტანილი გვაქვს ერთ-ერთი პროექტი, რომლის სახელწოდებაც არის „წყლის ფარი“. ალბათ ნაცნობია ის თემა, რომ საზოგადოების თავშეყრის ადგილები წარმოადგენს ეპიცენტრს, სადაც ბაქტერიების, ვირუსების, მიკრობების კონცენტრაცია მაღალია. ჩვენ ვიცით, რომ ბაქტერიების, მიკრობების, ვირუსების გარე შრე დამუხტულია და დამუხტულია და ეს გარე შრე იცავს ამ ბაქტერიებს, ისე როგორც ჩვენ, მაგალითად, იმუნიტეტი. ბაქტერიები ამ დამუხტული შრის გარეშე ვერ იარსებებენ. ჩვენ დავსვით

კონკრეტული ამოცანა, კონკრეტული გადაწყვეტის გზა, რომ ეს შრე მოგვეშორებინა. ამისთვის შევქმენით წყლის ფარი, რომელსაც ერთი მხრიდან მოედინება ჭარბად დადებითად დამუხტული წყალი, ხოლო მეორე მხრიდან — ჭარბად უარყოფითად დამუხტული წყალი. შემდეგ ეს დამუხტული წყალი მიიზიდავს ბაქტერიას, გაანეიტრალებს მათ შრეს და ბაქტერია აღარ იარსებებს.“

მარიამ გუჯაბიძე: „წყლის ფარი იზიდავს ამ ბაქტერიებს, რომელიც უკვე გაუვნებელყოფილია და ჩააქვს ელექტროსტატიკურ ფილტრში. შემდეგ ეს წყალი იფილტრება და ისევ ცირკულაციურად განაგრძობს მუშაობას. ყველაზე საინტერესო ამ პროექტში არის ის, რომ ეს წყლის ფარი შეიძლება დაიდგას ისეთ ადგილებში, როგორცაა აეროპორტი, თეატრი, დახურული სივრცეები, სადაც ეპიდემიების გავრცელება ხდება.“

ქარის ტურბინები ქართული ფრთებით

თელავის ევროპული სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეებმა სოფო სურმანიშვილმა, გიორგი პაპაშვილმა, ქეთი ამირანაშვილმა და სერგი დათუნაშვილმა წარმოადგინეს ჰიბრიდული კომპოზიციით მიღებული მასალებისგან დამზადებული ქარის ტურბინები. პროექტის ხელმძღვანელი იყო სკოლის ქიმიის მასწავლებელი დარეჯან მარგალიტაშვილი.

გიორგი პაპაშვილი: „ჩვენ გავაკეთეთ ქარის ახალი ტურბინა არა იგივე პროდუქტით, რაც უნდა იყო დანერგული, არამედ შემოვიტანეთ ახალი ქართული პროდუქტი, ანუ გავაკეთეთ ჰიბრიდული კომპოზიციით. ამ ქარის ტურბინით შეგიძლია მივიღოთ ეკონომიკური, ეკოლოგიური ეფექტი და, რა თქმა უნდა, საქართველოს მოვეტანოთ სარგებელი, რომ მან დაინყოს საკუთარი ქარის ტურბინების დამზადება. თურქეთიდან შემოგვაქვს ქარის ტურბინები და რატომ არ შეიძლება საქართველომ დაამზადოს თავისი ქარის ტურბინა, თავისივე მასალით და იგივე გამძლეობით? გორის ქარის ტურბინები დამზადებულია მინის ბოჭკოსგან, რომელიც საკმაოდ ძვირადღირებულია ხოლო ჩვენი ტურბინა არის ბაზალტის ბოჭკოსგან. ჩვენს ჯგუფს სამთო უნივერსიტეტთან აქვს ხელშეკრულება გაფორმებული და მათთან ვთანამშრომლობთ.“

ყურანის ნიჟის გადაგვარებაში ბიოდიზაის მიღება

საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტმა ნანუკა შარვაშიძემ და თსუ-ის სტუდენტმა თეონა ჩოხელმა აჩვენეს, თუ როგორ შეიძლება მიიღო ყურანის ნიჟისგან ბიოდიზაის ნიჟი.

თეონა ჩოხელი: „უკვე მესამე წელია, რაც ამ პროექტზე ვმუშაობთ. მისი შექმნის პროცესში ჯერ კიდევ თელავის სკოლაში ვსწავლობდით. ეს ჩვენი იდეა იყო. ამ პროექტით ერთი ნარჩენისგან (ნიჟისგან) ვიღებთ ზეთს, სპირტს და ბრიკეტს, შემდეგ კი, მიღებული პროდუქტებისგან, ბიოდიზაის და გლიცერინს. ბიოდიზაის არის ეკოლოგიურად სუფთა იმიტომ, რომ 60%-ით ამცირებს გამონახვას. გარდა ამისა, ნარჩენები გადაამუშავდება 4R-ის პრინციპით, რაც ეკოლოგიურ სისუფთავესთან არის დაკავშირებული. ჩვენი იდეით ბევრი ბიზნესმენი დაინტერესდა



„რომ არა ექვთიმე თაყაიშვილი“ ...

საჯარო ლექსია ტაო-კლარჯეთის თემაზე

პრეტენზია ბაროშვილი

„ტაო-კლარჯეთი (რომ არა ექვთიმე თაყაიშვილი)“ ამ თემაზე ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ბუბა კუდავას საჯარო ლექსია გაიმართა. ბიბლიოთეკის საგამოფენო სივრცე კი ტაო-კლარჯეთში ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციისა და გადარჩენის ისტორიული ძეგლების ფოტოებსა და მათი ამჟამინდელი მდგომარეობის ამსახველ ვიზუალიზაციებს დაეთმო. ლონისძიების ფარგლებში დამსწერი საზოგადოებამ პირველად მოისმინა კონსტანტინე გამსახურდიას, შალვა ამირანაშვილისა და მიხეილ ჭიაურელის ხმოვანი ჩანაწერები ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ. „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის“ ფარგლებში გამართული ღონისძიება ექვთიმე თაყაიშვილის 155 წლის იუბილეს მიეძღვნა.

ცნობილია, რომ ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციებს მნიშვნელოვანი როლი აქვს ტაო-კლარჯეთის მატერიალური კულტურის ისტორიის შესწავლის საქმეში. სწორედ ამ ექსპედიციების დროს აღმოაჩინეს ქართველმა მეცნიერებმა მრავალი უცნობი ძეგლი. ექვთიმე თაყაიშვილის დიდი ძალისხმევით

გახდა შესაძლებელი ამ ძეგლების, ეკლესიებისა და ციხე სიმაგრეების შესწავლა, შესრულდა მათი ანაზომები, გადმოიწერა და გაიშიფრა მრავალი წარწერა. დღეს, სამწუხაროდ, მრავალი მათგანი დაზიანდა.

ბუბა კუდავას აზრით, ფართო საზოგადოებისათვის ექვთიმე თაყაიშვილი მაინც რჩება განძის გადამრჩენლად და ბევრმა არ იცის, რომ ამ წარმოდგენამ გარკვეულწილად დაწინაურდა მისი, როგორც მეცნიერის როლი ქართული კულტურის ისტორიაში. „ექვთიმე თაყაიშვილს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ქართული მეცნიერების წინაშე. მისი სახელთან არის დაკავშირებული საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის სიძველეების, ისტორიული ძეგლებისა და სხვა საისტორიო მასალის კვლევა. იგი თითქოს გრძნობდა, რომ საშიში ემოქა დადგებოდა და ვითარება აირეოდა, სამწუხაროდ, ასეც მოხდა და დღეს ბევრი რამ, რაც მან გამოიკვლია, მხოლოდ მისი აღწერილობებისა და სამეცნიერო ანგარიშების წყალობით არის ცნობილი“.

საჯარო ლექსიის დროს ბუბა კუდავამ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ შესწავლილი და აღწერილი მასალის ფოტომასალაც წარმოადგინა.



ქართული ენის სახელმძვანელო უცხოელთათვის

„ქართული ენა B1 (პრაქტიკული კურსი უცხოელთათვის)“

— ასე ეწოდება ნიგნის, რომლის პრეზენტაცია „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის“ ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. ნიგნის რედაქტორია აკადემიკოსი მზექალა შანიძე, ხოლო ავტორი — თსუ-ის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი რამაზ ქურდაძე, რომელიც, ამავდროულად, არის მინივერსიტეტის პროფესორი ლეიდეის (პოლანდია), ბრემენის (გერმანია) და ნიუ-იორკის სტონი ბრუკის (აშშ) უნივერსიტეტებში და დარტმუთის კოლეჯში (აშშ).

ნიგნი განკუთვნილია ინგლისურენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებსაც ქართული ენის შესწავლა სურთ. იგი მოიცავს 15 გაკვეთილს და 65 სავარჯიშოს. პრაქტიკული კურსი შესავლისა და 4 ნაწილისაგან შედგება: თანამედროვე ქართული ანბანი (ი. გოგებაშვილის პრინციპების მიხედვით); გაკვეთილები; სავარჯიშოები; ლექსიკონი. გრამატიკული სავარჯიშოები განკუთვნილია, იმისთვის, რომ მკითხველმა ლექსიკური ცოდნის დაგროვება შეძლოს. სავარჯიშოებს თან ახლავს ქართული სიტყვები უცხოური თარგმანით. აღსანიშნავია ისიც, რომ სავარჯიშოები აგებულია იმ შეცდომების გათვალისწინებით, რომლებსაც უცხოელები ქართულ გრამატიკასთან შეხების დროს უშვებენ.

სახელმძღვანელოს შესახებ რამდენიმე კითხვაზე პროფესორმა რამაზ ქურდაძემ გვიპასუხა: — **ბატონო რამაზ, რამდენად დიდი პასუხისმგებლობა იყო თქვენთვის ნიგნზე მუშაობა?** — ზოგადად, ნიგნზე და განსაკუთრებით ამ ტიპის სახელმძღვანელოზე, მუშაობა უზარმაზარი პასუხისმგებლობაა. ძალიან



დიდი დრო დამჭირდა ამ იდეის ხორცშესხმისთვის, ვინაიდან ამისთვის თავს მზად არ მივიჩნევდი. 1998 წლიდან ამ სფეროში ვარ და, აქედან მოყოლებული, კოლეგები, სტუდენტები და ახლობლები მთხოვენ ნიგნის გამოცემაზე მეფიქრა, თუმცა, ამდენი წელი ვყოყმანობდი, რადგან მსურდა, ნიგნი მაქსიმალურად ადაპტირებული ყოფილიყო უცხოელი სტუდენტებისთვის და მასში გაკვეთვალისწინებინა პრაქტიკული მოცემულობა, რასაც მათთან ურთიერთობისას ვაწყვედოდი. მინდა, მაღლობა ვუთხრა რედაქტორს, ქალბატონ მზექალა შანიძეს, რომელმაც საგულდაგულოდ გადახედა ნიგნს და მისმა შენიშვნებმა კიდევ უფრო გაამდიდრა იგი. ნიგნში ბევრი იმ ტიპის სავარჯიშოა, რომელსაც სხვაგან ვერ შეხვდებით. ვიტყვი იმასაც, რომ სახელმძღვანელო არ არის განკუთვნილი მხოლოდ ქართული ენით დაინტერესებული უცხოელი სტუდენტებისთვის, ის გამოადგება საზღვრებს გარეთ მცხოვრები ქართველი ემიგრანტების შვილებსაც. ამგვარად, ამ ნიგნს დიდი დატვირთვა აქვს, რადგან ის იქნება სანყისი საფუძვრი ქართული ენის შესწავლის კიბეზე.

— **რა მნიშვნელობა მატარებელია მსგავსი ტიპის სახელმძღვანელო ქართული ენისთვის?** — საქართველო მსოფლიო კულტურულ რუკაზე ჯერ კიდევ დამკვიდრების პროცესშია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კულ-

ტურა და ისტორია მსოფლიო მნიშვნელობის საგანძურია. გამორჩეულია ქართული ენაც და დამწერლობაც, როგორც ერთ-ერთი უძველესი და უნიკალური. საქართველოს გარეთ ამის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაა, თუმცა ბოლო დროს ეს უკვე დაძლევადა გახდა. ჩემი გამოცდილებით შემძლია თამამად ვთქვა, რომ ქართული ენისადმი ინტერესი დიდია. უცხოელი სტუდენტები, რაც უფრო მეტს იგებენ ქართული ენის შესახებ, მით უფრო მეტად ინტერესდებიან მისი შესწავლით. შესაბამისად, ეს პრაქტიკული სახელმძღვანელო, რომელიც მათთვის დაძლევადა, კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ქართული ენის საერთაშორისო დონეზე დაფასებისთვის. თსუ-ის გამომცემლობამ, მაღალი ინტერესის გამო ნიგნი მეორედ გამოსცა. ავტორის თქმით, მომავალში იგეგმება „ქართული ენა B2“-ის გამოცემა, რომელიც უკვე აპრობირებულია ლაიფინისა და ბრემენის უნივერსიტეტებში. აღნიშნული ნიგნი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება გაუწიოს „დედა ენამ“ დაინტერესებულ უცხოელს ენის საყაროში მეგზურობა.

შოთა ჩანასალიანი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტი

უნივერსიტეტის იდეა ქართველურ ენათა ხელშეწყობისა და სწავლებისათვის

ლილოზი ახალ თაობასთან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ სულ ცოტა ხნის წინ გამოსცა ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში მომზადებული კრებული — „უნივერსიტეტის იდეა და ქართველურ ენათა კვლევისა და სწავლების მნიშვნელობა“, რომელიც კავკასიაში პირველი ქართული უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს ეძღვნება. კრებულის ავტორ-შემდგენლები არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველურ ენათა და ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრის პროფესორ-მასწავლებლები: რამაზ ქურდაძე, დარეჯან თვალთვაძე, მიაა ლომია, ქეთევან მარგინი და სალომე ოშიაძე. ნიგნის რედაქტორი გახლავთ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი მზექალა შანიძე. 29 სექტემბერს „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის“ ფარგლებში, ავტორ-შემდგენლებმა ნიგნი საუნივერსიტეტო საზოგადოებასა და სტუმრებს წარუდგინეს.



„ნიგნი განსაკუთრებულია იმით, რომ აქ წარმოდგენილია აკადემიკოსის დღემდე უცნობი წერილი: „სოციალისტ-ფედერალისტთა მთავარ კომიტეტს, აკაკი შანიძის მოკითხვა და გამარჯვება სოციალ-დემოკრატებზე“. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური ხასიათის წერილი, რომელიც ქალბატონმა მზექალა შანიძემ მოგვანოდა. მისი თქმით, აღნიშნული მიმართვა დაწერილი უნდა იყოს 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, სანამ ოქტომბრის რევოლუცია მოხდებოდა. ამ წერილში საუბარია საქართველოს საზღვრების შესახებ. მიმართვა ძალიან მნიშვნელოვანია ისტორიული თვალსაზრისითაც. მასში აკაკი შანიძე გვეუბნება, როგორც გულანთებული პატრიოტი, საზოგადო მოღვაწე, რომელსაც თავისი ქვეყნისა და ენის ბედ-იღბალი ძალიან აინტერესებს“. ჩვენთან საუბრისას თქვა თსუ-ის პუბლიცისტულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელმა პროფესორმა რამაზ ქურდაძემ.

კრებულის რედაქტორმა მზექალა შანიძემ მოკლედ ისაუბრა კრებულის მნიშვნელობასა და იმ ისტორიულ პერიპეტებზე, რომელიც წინ უძღოდა უნივერსიტეტის დაარსებას: „კრებულში აღბეჭდილია იმ ხალხის სიტყვები, რომლებიც ამ საუნივერსიტეტო საქმის დამწყები იყვნენ. მასში კარგად ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვან და მძიმედ უნივერსიტეტის დაარსება. ეს არ იყო ჩვეულებრივი, უბრალო სასწავლებელი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არ იყო კიდევ ერთი, ის იყო პირველი და საფუძველი მომავალი განათლებისა საქართველოში. ამიტომ ყველაფერი, რაც დაკავშირებულია იმ ადამიანებთან, რომლებიც იყვნენ პირველები, რა თქმა უნდა, ძალიან საინტერესოა. ამ ნიგნაჟშია შესული აკაკი შანიძის დღემდე უცნობი წერილი, რომელიც არქივში აღმოვაჩინე“, — აღნიშნა მან.

ლილოზი ახალ თაობასთან. აქ ჩანს, თუ როგორ ყალიბდებოდა უნივერსიტეტის იდეა, როგორ ვითარდებოდა და როგორ განხორციელდა. ეს მეგვიდრეობა, რომელიც ჩვენ გამოგვცა არის ძალიან საპასუხისმგებლო. ცვდილობთ, რომ განვარდით სახელმწიფო ნიშნების საქმე, რისი დასტური ეს პატარა კრებულიცაა. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ კრებულის რედაქტორობაზე ქალბატონი მზექალა შანიძე დაგვთანხმდა. ცვდილობთ, რომ ის ინტერესი, რაც ამ ტიპის კრებულებზე მუშაობას სჭირდება, გადაცემა ჩვენს სტუდენტებს, რომ თაობათა შორის კავშირი არ დაიკარგოს, — აღნიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუბლიცისტურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორმა მიაა ლომიამ.

აღსანიშნავია, რომ კრებულის შედგენაში ქართული ენის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობდნენ „ქართული ფილოლოგიის“ მიმართულების საბაკალავრო და „ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტები: ნატო ახალაია, სალომე გეგეჭკორი, შოთა პაპავა, ნინო ქებურია, სოფია

შამუგია, თამარ ჩანქელიანი, ხატია საბულიანი, თინათინ ჯიქურაშვილი და გიორგი ჯღარკავა. „ჩემთვის ამ კრებულზე მუშაობა ძალიან საინტერესო და ორმაგად მნიშვნელოვანი იყო. პირველ რიგში, ეს დიდი გამოცდილებაა. ზოგადად, სტუდენტებისთვის ასეთი გამოცდილება ნაკლებად ხელმისაწვდომია. საყურადღებოა, რომ სწორედ სტუდენტები და ახალგაზრდა მეცნიერები იყვნენ ჩართული ამ კრებულის გამოცემაში. ამ კუთხით ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანია“, — თქვა „ქართველური ენათმეცნიერების“ პროგრამის დოქტორანტმა გიორგი ჯღარკავამ.

ლონისძიებამ ესწრებოდნენ პუბლიცისტურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის და საერო გიმნაზია „შავნაბადას“ მოსწავლეები და პედაგოგები.

ნიგნი „უნივერსიტეტის იდეა და ქართველურ ენათა კვლევისა და სწავლების მნიშვნელობა“ — არის ამ ციკლის პირველი გამოცემა. ავტორ-შემდგენლები აღნიშნავენ, რომ ამ კრებულზე მუშაობას გააგრძელებენ და ფართო აუდიტორიას დღემდე უცნობ, თუმცა ძალიან მნიშვნელოვან დოკუმენტებს, მოხსენებებს, წერილებს, მიმართვებს გააცნობენ.

ლიანა მარქარიანი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტი



„კავკასია დროისა და სივრცის გასაყარზე“

პრეტენზია ბაროშვილი

„კავკასია დროისა და სივრცის გასაყარზე“ — ამ სახელწოდებით გამოიცა 2016 წელს თსუ-ის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელის, პროფესორ ცირა ბარამიძის წიგნი ქართულ ენაზე, რომელმაც სპეციალისტების ყურადღება დაიმსახურა. სწორედ ნაშრომის შინაარსმა განაპირობა ის ფაქტი, რომ იმთავითვე დაისვა საკითხი, წიგნი ინგლისურ და რუსულ ენებზე თარგმნილიყო. გერმანიის სამეცნიერო გამოცემლობა „ლაბერტის“ დაკვეთით წიგნი რუსულ ენაზე ითარგმნა, რომლის პრეზენტაცია თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას სახელობის კავკასიოლოგიის ინსტიტუტში გაიმართა.



ასევე კავკასიის თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარების შესაძლებლობების შესახებ. წიგნი „კავკასია დროისა და სივრცის გასაყარზე“, კომპლექსურად არის განხილული მნიშვნელოვანი საკითხები: კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია, გეოგრაფია და ეთნოისტორია, კავკასიური ერთობა ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, კავკასიის გეოპოლიტიკური ისტორიის სავსაშაო საკითხები, კავკასიის ისტორია და ეთნოლინგვისტური ატლასი დიაქრონიკაში, კავკასიის დამპყრობლები და ეთნოლინგვისტური ცვლილებები, ეთნიკური და რელიგიური სურათის ჩამოყალიბება, კავკასიის რეგიონის რელიგიური მოზაიკა, კავკასიის კონფლიქტები, კავკასიის გეოპოლიტიკურ-გეოეკონომიკური ისტორია — წარსულიდან მომავლისკენ, კავკასიის ინტეგრაციის საკითხი დიაქრონიკულ ასპექტებში, ინტეგრაცია ინტეგრაციაში, კავკასიის სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, კავკასიის რეგიონის სახელმწიფოთა მართვის ფორმები, კავკასიის რეგიონალური გაერთიანებები საერთაშორისო და რეგიონალური ფუნქციებით, კავკასიური ცივილიზაცია ისტორიულ ქრილში, მულტიკულტურალიზმი და ტოლერანტობა კავკასიაში, კავკასიური სამართალი, სამართლებრივი ტრადიციები, ადათის პრინციპები, ცხოვრების წესი, კავკასიის მულტილინგვიზმი და ენათა ფუნქციონირების პრობლემები, ენობრივი კონტაქტები კავკასიაში — დიაქრონიკული ანალიზი, კავკასიის ენები და იბერიულ-კავკასიური ენები, დამწერლობები კავკასიაში, სახეებისა და ამ

ანბანთა პერიოდიზაციის საკითხი კავკასიის საერთო კავკასიური მითოპოეტიკური სამყარო და საქართველო, როგორც კავკასიის ცენტრი, ისტორია და პერსპექტივები. როგორც პრეზენტაციაზე პროფესორმა ცირა ბარამიძემ აღნიშნა, კონფლიქტებზე და კონფლიქტოლოგიაზე ძალიან ბევრი ნაშრომი შექმნილია. სურვილია, რომ კვლევამ თუნდაც მცირედი როლი შეასრულოს ამ საკითხის გადარწმუნებაში.

„ნაშრომში ისტორიულ ასპექტშია განხილული და აღწერილი თუ რა მდგომარეობაშია დღევანდელი კავკასია ფსევდოეთნოკონფლიქტების ჩათვლით და რა არის მათი გამომწვევი მიზეზები, ასევე გაანალიზებულია ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ კონფლიქტებს ამ რეგიონში. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვაქვს იმის ილუზია, რომ ყველაფერი სრულფასოვნად არის გამოკვლეული, მაგრამ წიგნი თავმოყრილი მასალის საფუძველზე შევეცადე მკითხველისთვის ამ კონფლიქტების გადარწმუნების ალტერნატიული პერსპექტივები შემეთავაზებინა“, — განაცხადა ცირა ბარამიძემ.


ავტორის ინფორმაციით, წიგნი განკუთვნილია ფართო მკითხველისთვის, რადგან მასში შეტანილი ყველა საკითხი იმგვარად არის განხილული, რომ ნებისმიერი დარგის სტუდენტმა შეძლოს მისი გაგება. პუბლიკაციები პოპულარული ენით არის დაწერილი და ხშირად იგრძნობა ემოციური მუხტიც, რადგან არის საკითხები, რომელზეც საუბარი „მშრალად“ არ შეიძლება. მაგალითად: თუ რატომ არ განხორციელდა კავკასიის ინტეგრაცია ისტორიის არც ერთ ეტაპზე, ინტეგრაციის განუხორციელებლობის მიზეზები და შედეგები და სხვა. ნაშრომის მიზანია, სტუდენტებსა და კავკასიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს გააცნოს კავკასია ერთიან კონტექსტში უძველესი პერიოდიდან დღემდე.

ნაშრომი რუსულად პროფესორმა ირინა კაპანაძემ თარგმნა, პროექტის ავტორია მწერალი ნაირა გელაშვილი. როგორც პროფესორმა ცირა ბარამიძემ აღნიშნა, თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ამ საკითხებზე მუშაობა და კვლევები თსუ-ის კავკასიოლოგიის ინსტიტუტში მომავალშიც გაგრძელდება.

არნოლდ ჩიქობავას შრომების 14-ტომის პრეზენტაცია გაიმართა

პრეტენზია ბაროშვილი

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში 24 სექტემბერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცნობილი ენათმეცნიერის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი დამაარსებლის არნოლდ ჩიქობავას შრომების 14-ტომის პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც საუნივერსიტეტო საზოგადოებას პროფესორმა ვაჟა შენგელიამ წარუდგინა. არნოლდ ჩიქობავას შრომების გამოცემის საკითხი 2007 წელს ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაისვა და 2008 წლიდან 2018 წლამდე 14 ტომი გამოიცა.



ერთობა აკადემიას, სადაც იგი ამბობდა, რომ კონსტიტუციის ასეთი ცვლილება გამართლებული არ იყო. შემდეგ არნოლდ ჩიქობავა მთავრობაში მივიდა და ვიქტორია სირაძეს შეხვდა, რომელმაც შემდეგი თქვა: არნოლდ ჩიქობავამ თავისი „რკინისებური“ ლოგიკით დაასაბუთა, რატომ არ უნდა შეიცვალოს კონსტიტუციის ეს მუხლი. ეს მისი მხრიდან მოქალაქეობრივი გამირობა იყო“, — გაიხსენა ვაჟა შენგელიამ.

რითადი პრობლემები“, „ენათმეცნიერების შესავალი“ და სხვა მრავალი სტატია. როგორც პრეზენტაციაზე აღნიშნა, სარედაქციო საბჭოს და წიგნების რედაქტორების დაუღალავი შრომის შედეგად, რომლის შემადგენლობაში ქართველი და უცხოელი მეცნიერები შედიოდნენ, მათ შორის: ცირა ბარამიძე, გუჩა კვარაცხელია, ლ. ეზუგბაია, მურმან სუსიშვილი, მიხეილ ქურდიანი, ვაჟა შენგელია, მერაბ ჩუხუა, თამაზ გამყრელიძე, გიორგი გოგოლაშვილი, ბერნან უტიე, იან ბრაუნი და სხვა. დაფასდა ქართველი მეცნიერის ღვაწლი. ითქვა, ისიც, რომ მომავალში კიდევ ერთი ტომის გამოცემა იგეგმება, სადაც შევა ზოგიერთი ახლად გამოვლენილი მასალა და მეცნიერის გამოსვლები საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომებზე, ასევე მისი პირადი წერილები კოლეგების მიმართ.

თავისი მოსაზრება საზოგადოებას პროფესორმა გიორგი გოგოლაშვილმაც გაუზიარა: „ამ კრებულებში გამოქვეყნებული ნაშრომები და სტატიები თითქმის საუკუნის წინ დაიწერა, მაგრამ თამაზად შეიძლება ითქვას, რომ მათ მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა არა აქვთ. არაერთხელ მითქვამს, რომ ბედნიერია ქართული ენა, იმიტომ, რომ, როდესაც მას XIX საუკუნეში გაუჭირდა, დამცველად და პატრონად ილია, აკაკი და იაკობ გოგებაშვილი მოეწოდნენ, XX საუკუნეში კი, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა და ვარლამ თოფურია, — რაც ერისთვის ბედნიერებაა“, — აღნიშნა მან.

მეცნიერება იწყება სკოლიდან

ნარმატაბული ბრანდირებაი გამოსდილახის შესახებ

ნაბო მოლოძაძე

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარმატებულ გრანტიორთა პრეზენტაცია გაიმართა. გამარჯვებული სამეცნიერო პროექტების ავტორებმა გრანტის მიღებისა და განხორციელების შესახებ ისაუბრეს და კოლეგებს საგრანტო წერის გამოცდილება გაუზიარეს. ღონისძიების ფარგლებში პრეზენტაცია წარმოადგინა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რეოლოგიისა და დიაგნოსტიკურ ანალიტიკური სერვისების განყოფილების გამგემ მაია მანუკავამ, რომელმაც „მოზილობისა და საერთაშორისო ღონისძიებების კონკურსში“ გაიმარჯვა. საკუთარი გამოცდილების შესახებ ისაუბრა ბიოფიზიკის მეცნიერებათა დოქტორმა, თსუ-ის მუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის გამოყენებითი მეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიების პროგრამის ხელმძღვანელმა ნინო ინასარიძემ. სამეცნიერო პროექტის წარმატებით განხორციელების თაობაზე ისაუბრა გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორმა, თსუ-ის ასოცირებულმა პროფესორმა მარიამ ელიზბარაშვილმა, რომლის პროექტიც კონკურსში „კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ — გამარჯვების შედეგად განხორციელდა.

„მეცნიერება იწყება სკოლიდან. ეს კონკურსი საშუალებას გაძლევს, რომ სკოლის მოსწავლეებთან ერთად სამეცნიერო პროექტი განახორციელო, შეასწავლო მათ ახალი თემები და კვლევით საქმიანობაში ჩართო.

ჩვენი პროექტის მიმღები გახლდათ ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა და კლიმატის ცვლილებასა და მდგრადი განვითარების საკითხებს უკავშირდებოდა. ფიქრობ, რომ ნებისმიერ სამეცნიერო კონკურსში მონაწილეობისას მთავარია მიზანდასახულობა, დიდი შრომა, ამასთანავე, საკონკურსო პრობლემის კარგად გაგება“, — განაცხადა თსუ-ის ასოცირებულმა პროფესორმა მარიამ ელიზბარაშვილმა. „მოზილობისა და საერთაშორისო ღონისძიებების კონკურსში 2 წლის წინ გავიმარჯვეთ გამოყენებითი ბიომეცნიერებისა და ბიოტექნოლოგიების საზოგადოებრივი სკოლა ჩავატარეთ. პროექტი აღიარეს საუკეთესოდ. კოლეგებს შემძლია ვურჩიო, რომ პროექტის წერისას ყველა ძირითადი რისკი გათვალვინა, წარმატებლობის შემთხვევაში არ დაყარონ ფარ-ხმალი. მნიშვნელოვანია მოსამზადებელი ეტაპი, სწორი პარტნიორობისა და სამუშაო ჯგუფის შერჩევა“, — გვითხრა ბიოფიზიკის მეცნიერებათა დოქტორმა ნინო ინასარიძემ.

თსუ-ის პროფესორებთან ერთად, ღონისძიებაზე პრეზენტაციები წარმოადგინეს კავკასიის უნივერსიტეტის მათემატიკის დოქტორმა მაქსიმ იავიჩმა, კავკასიის უნივერსიტეტის მათემატიკის დოქტორმა თემურ ხუციშვილმა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა თინათინ ჩიქოვანმა. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში ფონდის წარმატებულ გრანტიორთა პრეზენტაცია „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალში 2018“-ის ფარგლებში 26 სექტემბერს გაიმართა.



ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაქულტეტი თსუ-ის ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

მაია ბორაძე

მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა, ყველა ფაკულტეტი მონაწილეობდა. მათ შორის გამორჩეული იყო თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომელმაც, გარდა სამეცნიერო კონფერენციებისა და სემინარებისა, თსუ-ის ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გამოფენაც გამართა და 28 სექტემბერს დაინტერესებულ პირებს ფაკულტეტზე მიმდინარე და პროექტები გააცნო.



სტენდებზე წარმოდგენილი იყო ის საქმიანობა, რასაც ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი ეწევა. აქვე ნახავდით წიგნებსა და სახელმძღვანელოებს, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში გამოიცა. როგორც ჩვენთან საუბარში ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ თამარ ჭელიძემ აღნიშნა, გამოფენა იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ აქ, მეცნიერებისა და მკვლევარების ნაშრომებთან ერთად, სტუდენტური პროექტების დათვალიერებაც იყო შესაძლებელი.

ბიოლოგია

სტენდებიდან თვალშისაცემი იყო ბიოლოგიის მიმართულების მრავალფეროვანი გამოფენა, რომელიც პროფესორმა დიანა ძიძიგურმა გაგვაცნო: „ჩვენ წარმოვადგინეთ ბოლო რამდენიმე წლის ნამუშევრები. გვაქვს ცალკეული პოსტერებიც და შეჯერებულიც. არის ასევე ცალკეული შრომები, რომლებიც უკვე ნაკითხულია როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კონფერენციებზე. დამთვალიერებელს შეუძლია გაეცნოს ძალიან ბევრ ინოვაციას. მაგალითად, წარმოდგენილია მასალები ჰემანგიომაზე, რომელიც არის ბავშვთა კეთილთვისებიანი სიმსივნე. ჩვენ მოვახერხეთ ის, რომ საცდელ ფრინველში შვიკიყვანთ ენდოგენური ცილოვანი ნივთიერება და გავაჩერეთ ბიბილოს ზრდა ნორმასთან შედარებით (ალმოჩნდა, რომ ქათმის ბიბილო არის ჰემანგიომას ექსპერიმენტული მოდელი). ჰემანგიომის მკურნალობა ან რეზექციით ხდება, ან მოწვივით, ან ჰორმონების შეყვანით და ჩველ ბავშვებში არის ფორმები, რომლებიც რეგრესიას განიცდის. ამიტომ, ახლა მთელი ყურადღება მიმართულია იმაზე, რომ მკურნალობის არაინვაზიური მეთოდი გამოვიყენოთ“, — გვითხრა ქალბატონმა დიანა ძიძიგურმა.

რიაში მომზადდა კვლევა, რომელზეც მედიცინის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ოთო გოხაძე გვესაუბრა (ხელმძღვანელები ირინა მოდებაძე და ეკატერინე მითაიშვილი): „ეს კვლევა მიზნად ისახავდა, დაგვედგინა, თუ რა გავლენა აქვს საკვები დანამატებით საკვებ საკვებს ჩვენს ორგანიზმზე. გავლენებს ვიკვლევთ ჯერჯერობით ვირთაგვების ორგანიზმზე. ამ კვლევას წინ უძღვის ქცევითი გამოკვლევები, რომელშიც ჩვენ საკმაოდ მკაფიოდ დავინახეთ, რომ ცხოველებს, რომლებიც იკვებებოდნენ ჩიფსებით, M&M's-ით და ძხვებით, შეცვლილი აქვთ თავდაცვის რეაქციები, სივრცეში ორიენტაციის რეაქციები, არიან ჰიპერაქტიურები, გააჩნიათ ყურადღების ნაკლებობა და ა.შ., რომ დავფიქროდით, თუ რატომ შეიძლება მთავარი მფილტრადი ორგანოები, როგორცაა ღვიძლი და თირკმელი. ჩვენ 2 წელია ვიკვლევთ ამ საკითხს. ზოგადად, თუ ღვიძლი დაზიანებულია, ის თავის თავს კარგად ალადგენს და მისი დაზიანების ასეთი აქტიური გამოვლენა ძალიან საგანგაშოა. ამიტომაც, შევაიმონშეთ მისი რეგენერაციის აქტივობა, თუ როგორ შეუძლია მას განაახლოს თავისი თავი და აღმოჩნდა, რომ კონტროლთან შედარებით და, ბოლო მონაცემებით, რეგენერაციის უნარი დაქვეითებულია 60%-დან 87%-მდე, რაც საკმაოდ სერიოზული მიგნებაა. ჩვენ კვლევას ვაგრძელებთ. ახლა ვმუშაობთ სტატიაზე, რომ დადგინდეს ეს მონაცემები“, — აღნიშნა ოთო გოხაძემ.

„უკვე სამი ათეული წელია, მუშაობა მიმდინარეობს კანცეროგენების, ანუ ონკოლოგიის საკითხებზე და ვნახლობთ სამი ტიპის სიმსივნეს, ესენია: ქალებში სარძევე ჯირკვლის სიმსივნე, საშვილოსნოს სიმსივნე და მამაკაცებში პროსტატის სიმსივნე. თემას ჰქვია „კანცეროგენული ტრანსფორმაცია და მისი უჯრედული და მოლეკულური მექანიზმები“. აქ წარმოდგენილია კათედრის ძირითადი თანამშრომლები, რომლებიც ამ თემატიკაზე მუშაობენ: ასოცირებული პროფესორი მანანა გორდუზიანი, ბიოლოგიის დოქტორი ლიანა რამიშვილი, ბიოლოგიის დოქტორი ნატო ვეშაძე, ბიოლოგიის დოქტორი მაია ზიზიბაძე, ბიოლოგიის დოქტორი მანანა ალიბეგაშვილი, დოქტორანტები: ბელა სეფიაშვილი და ანა ხაზარაძე. ბოლო პერიოდში ჩვენი კათედრის მიერ 4 სამეცნიერო შრომაა გამოქვეყნებული. ოთხივე შრომა არის ტომოსონის კლასიფიკაციით და გამოქვეყნებულია მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში. ზოგადად, ჩვენი ყველა შრომა ქვეყნდება, რადგან თემა არის ძალიან აქტუალური. აქვე იმასაც გეტყვი, რომ, 2006 წლიდან დღემდე, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოველ მეორე წელს ვატარებთ კონფერენციებს ბიომედიცინის აქტუალურ თემატიკაზე, რომელზეც დაგვყავს როგორც სტუდენტები, ისე დოქტორანტები, ახალგაზრდა მეცნიერები. ვმონაწილეობთ ბაკურიანის მედიკოსთა საერთაშორისო სკოლა-კონფერენციაზე, სადაც გაიხსნა სპეციალური სესია — ექსპერიმენტალური მედიცინა“, — აღნიშნა ნანა კოტირაძემ.

კვლევები, რომლებიც მოხსენებულ იქნა ამერიკაში, იტალიასა და ავსტრიაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციებზე. „ეს კვლევები ჩვენი კათედრის თანამშრომელთა (ხათუნა სვანიძე, მანანა ჩიქოვანი, მარიამ ქურასხედიანი) მონაწილეობით არის განხორციელებული. ჩემი აზრით, თითოეული მათგანი საინტერესოა და აქტუალური, რადგან ქართული ყურძნის ჯიშის — საფერავის — ფლავონოიდების ნეიროპროტექტორული ეფექტების კვლევას ეხება. ექსპერიმენტების დროს გამოვიყენეთ ეპილეფსიის ცხოველური მოდელები, ვსწავლობდით ეპილეფსიით გამოწვეულ დარღვევებს და ამ დარღვევებზე საფერავის ფლავონოიდების დადებით ანუ მაკორექტირებელ როლს. ძალიან კარგი შედეგებია მიღებული. ახლა ვცდილობთ, ახალი მიდგომებით განვახორციელოთ იგივე კვლევა და მეტნაკლებად თანამედროვე წარმოდგინოთ ის, რის საშუალებასაც იძლევა ქართული რეალობა. ეს ყველაფერი საერთაშორისო ასპარეზზე ძალიან დიდი მონონებით სარგებლობს“, — განაცხადა ნანული დორეულმა.

ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია

ძალზე საინტერესო სტენდები წარმოადგინა ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტმა. ჩვენთან საუბარში ასისტენტი-პროფესორმა ლევი გეონჯიანმა აღნიშნა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ დეპარტამენტს აქვს, არის სტუდენტური საკონსტრუქტორო ლაბორატორია. „აქ სტუდენტებს შეუძლიათ დაგეგმონ და განახორციელონ ნებისმიერი თანამედროვე ელექტრონული სისტემა. მაგალითად, სტენდზე, რომელიც აქაა წარმოდგენილი, აჩვენებს როგორ შეიძლება საკუთარი ენერგეტიკა გვექონდეს სამეცნიერო ექსპერიმენტებში. სტუდენტებთან ერთად დავინყვით მეორე სერიოზული პროექტიც — გვინდა, რომ ვერეს ხეობა გახდეს საუნივერსიტეტო პოლიგონი. თუ დავნერგავთ ამ სენსორულ სისტემებს, რომელიც აქაა წარმოდგენილი, გვექნება საშუალება, რომ გაცილებით ადრე და დროზე გვექონდეს ინფორმაცია მენყურის ან წყალდიდობის შესახებ. კიდევ არის ორი ნამუშევარი და გვინდა, რომ მათი წარმობაც მასობრივად მოხდეს და სკოლებში დავნერგოთ. მაგალითად, ავტომატური სარწყავი სისტემა: წყალი თუ გამოშრა ის უსიგნალებს სისტემას, რომელიც რთავს ტუმბოს და რწყავს მცენარეს. ამის გაკეთება შეუძლიათ ბავშვებსაც და ჩვენ გვინდა, რომ სკოლებს მივცეთ ასეთი კონსტრუქტორები, რომ მათ ნა-



ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი ტსუ-ის ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში



გა-12 გვდავ

სონ, როგორ მუშაობს თანამედროვე ტექნოლოგია“, — გვითხრა ლევი გეონჯიანმა.

სტუდენტურ საკონსტრუქტორო ლაბორატორიაში დამზადებული თვალსაჩინოებები და სტენდები ჰქონდათ წარმოდგენილი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონიკის და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის სტუდენტებს ვახტანგ ნაჭყვასის („ჭკვიანი სახლი“), ნინო დევაშვილს და გიორგი წვერიანაშვილს (სახლის მცენარეების ავტომატური სარწყავი სისტემა), ცირა დიღმელიძეს და ირაკლი კუპრაშვილს (მდინარე ვერეს ჰიდროლოგიური მონიტორინგის სისტემა), რევაზ კერესელიძეს (ქარისა და მზის ელექტროსადგურები).

დამთვალეებლებს საინტერესო ექსპერიმენტს სთავაზობდნენ კონდენსირებული ფიზიკის ლაბორატორიის წარმომადგენლები ზვიად ზარქუა და გრიგოლ თანიაშვილი (მეისნერის ეფექტი).

ქიმიკი

ქიმიის დეპარტამენტის სტენდს, სხვა თანამშრომლებთან ერთად, მასპინძლობდა ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, ელიზა მარქარაშვილი. მან წარმოგვიდგინა დეპარტამენტის მიერ გამოცემული სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურა და პროფესორ ომარ მუჰბანიანის ხელმძღვანელობით შექმ-

ნილი სამშენებლო მასალების ნიმუშები. „გვიქრობთ, რომ საკმაოდ დიდი სამუშაოა გაწეული და ამ სამუშაოში სტუდენტებიც არიან ჩართული. სტენდზე ასევე გათვალისწინებულია სტუდენტთა მიერ საერთაშორისო ყურნალებში გამოცემული სტატიები“, — გვითხრა მან.

გეოლოგია

სამეცნიერო მიღწევების შესახებ გვესაუბრა გეოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი მარიამ ახალკაციშვილი. სტენდზე გამოფენილი იყო მინერალები მინერალოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიიდან. კერძოდ, დამთვალეებლებს შეეძლო ენახა მინერალები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. „ძალიან დიდი ახალგაზრდების ინტერესი, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში. ამ გამოფენების მეშვეობით იგებენ ამ მინერალების შესახებ და მერე უკვე მოდიან უნივერსიტეტის ლაბორატორიაში, სადაც 700-მდე ნიმუში გვაქვს გამოფენილი. მუზეუმს სწორედ სტუმრობენ სკოლის მოსწავლეებიც“, — აგვიხსნა მარიამ ახალკაციშვილი.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პრეზენტაციის ფარგლებში ასევე გაიმართა ასოცირებული პროფესორის ილია თავხელიძის (მათემატიკა) და ასისტენტ-პროფესორის გიორგი დვალაშვილის (გეომორფოლოგია და კარტოგრაფია) საჯარო ლექციები.

ტსუ-ში ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრი გაიხსნა

ნათო ობოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრი გახსნა. ცენტრი დამხმარე სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულია, რომლის მთავარი დანიშნულება მეცნიერებასა და ბიზნესსექტორს შორის არსებული ვაკუუმის შევსება და მეცნიერების კომერციალიზაციის აქტიური პროცესის დაწყებაა. ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრი ხელს შეუწყობს როგორც იდეის დონეზე არსებული გამოგონებების რეალიზებას, ასევე, უკვე არსებული პატენტების ბიზნესსექტორისთვის გაცნობას, მათ წარმოებაში ჩაშვების მიზნით. ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრი ტექნოლოგიური და ინდუსტრიული პრობლემების გადაწყვეტის მომსახურების სერვისის დაწესებას გეგმავს. პროდუქტიული მუშაობისთვის უკვე შემუშავებულია ერთნაირი სამოქმედო გეგმა, რომელიც რამდენიმე ეტაპს მოიცავს.

„ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრი არის საუნივერსიტეტო ინკუბატორი და ასევე, პრეაქსელერატორი, რომელიც საწყის ეტაპზე მყოფ ინოვაციური იდეების აღმოჩენას დაინყებს და ხელს შეუწყობს, რომ იდეა მინიმალური ღირებულების პროტოტიპამდე მივიდეს, ანუ მომზადდეს ინვესტორისთვის წარსადგენად. ორგანიზებას გაუწევს ინკუბატორს და პრეაქსელერატორს. მეცნიერებს დავეხმარებით გამოგონებების დაპატენტებაში, ლიცენზირებაში. ჩვენი ცენტრი იქნება ერთ-ერთი საინფორმაციო ცენტრი (ჰაბი), როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით, შეასრულებს შუამავლის როლს. მნიშვნელოვანია შიდასა-

უნივერსიტეტო კოორდინაციის ფუნქციაც, რადგან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბევრი ერთეულია და მათ შორის კომუნიკაცია აუცილებელია. მთავარია, რომ ჩვენი ცენტრის შესახებ ყველამ გაიგოს, ვინცელებს საინფორმაციო კამპანიას. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლებს უკვე შევხვდით, მეორე ეტაპზე ინოვაციური იდეების იდენტიფიცირებას ვგეგმავთ, დავაზუსტებთ — რა სახის პრობლემების გადაწყვეტა შეუძლიათ შესთავაზონ ბიზნესსექტორს და რა რესურსი აქვთ ამისთვის.

მთავარი გამოწვევა გახლავთ ის, რომ შევავსოთ ინფორმაციული ვაკუუმი, რაც ბიზნესსა და მეცნიერებას შორის არსებობს. ჩვენი ერთნაირი სამოქმედო გეგმა უკვე განვირგია, მთავარი სტრატეგიული ამოცანა გვაქვს შესასრულებელი. უპირველესად, უნდა შევიმუშაოთ დოკუმენტი, რომელიც გამოგონებებს, უნივერსიტეტსა და ინვესტორს შორის მოგების გადანაწილების საკითხს დაარეგულირებს“, — განაცხადა ტსუ-ის ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის ხელმძღვანელმა ნიკა მელქაძემ.

ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრი ტერიტორიულად ტსუ-ის ბიბლიოთეკის შენობაში განთავსდება, მას შეუერთდება ფაბლაბის სივრცეც. გახსნის ცერემონია 27 სექტემბერს გაიმართა. ღონისძიებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარაშიძე, საქართველოს ტექნოლოგიების და ინოვაციების სააგენტოს ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ავთანდილ კასრაძე, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის, სან დიეგოს უნივერსიტეტისა და ტსუ-ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის წარმომადგენლები დაესწრნენ.



ტსუ-ის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი მოსწავლეებისთვის

თამარ ლალიანი

„26 და 28 სექტემბერს, ქ. თბილისის №133 საჯარო სკოლისა და სსიპ №18 სკოლის ქიმიის საკითხებით დაინტერესებულ მოსწავლეებს თსუ-ის რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტმა უმასპინძლა. შეხვედრა „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის 2018“ ფარგლებში გაიმართა.

ინსტიტუტის სწავლული მდივანი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი ნათელა ანანიაშვილი მოსწავლეებს ინსტიტუტის წარსულ მიღწევებსა და ამჟამინდელ საქმიანობაზე ესაუბრა. როგორც მან აღნიშნა, დღეისათვის ინსტიტუტში 100-მდე მეცნიერ-თანამშრომელი მუშაობს, რომლებიც ჩართული არიან სახელმწიფო ათწლიანი სამეცნიერო კვლევების პროგრამის — „ნანოქიმიის, ზოგიერთი ადგილობრივი ნედლეულის გადამამუშავების ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის მეცნიერული საფუძვლების შემუშავება“, — განსახორციელებელ პროექტებში.

მისივე თქმით, დაფინანსების გაზრდამ საშუალება მისცა ინსტიტუტს 2015 წლიდან დღემდე შეეძინა მეტად საჭირო და მაღალი დონის აპარატურა, რითაც შესაძლებელი გახდა ინსტიტუტის კვლევები მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო



კვლევების კვალდაკვალ განხორციელებულიყო. მან აგრეთვე ისაუბრა სკოლის მოსწავლეებისთვის სამეცნიერო ინსტიტუტებში გაცნობითი ხასიათის სემინარების მოწყობის მნიშვნელობაზე: „სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში სტუმრობამ და ლაბორატორიების საქმიანობის გაცნობამ, შესაძლებელია, ზოგიერთ ახალგაზრდაზე გავლენა იქონიოს პროფესიის არჩევის დროს. ასეთი შეხვედრები ახალგაზრდებს გაუფრთხილებს მეცნიერებისადმი ინტერესს და გაუჩინებს

სურვილს — სწავლა ამ მიმართულებით გააგრძელონ“, — აღნიშნა ქალბატონმა ნათელა ანანიაშვილმა.
მოსწავლეებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ინსტიტუტის სამეცნიერო ლაბორატორიები, სადაც ქიმიური ცდები და ექსპერიმენტები ტარდება. ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა: ნანა ქოივაძემ და რუსუდან გიგაურმა მოსწავლეებს გ. აგლაძის სახელობის ელექტროქიმიისა და ელექტრომეტალურგიის ლაბორატორიაში საჩვენებელი ექსპერი-

მენტები ჩაუტარეს. საინტერესო აღმოჩნდა ბავშვებისთვის ინსტიტუტის აპარატურული ცენტრის დათვალიერება, სადაც უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა დალი ძანაშვილმა თანამედროვე ანალიზური და სხვა გამოზომი ხელსაწყოები წარმოადგინა.

„სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში სკოლის მოსწავლეების სტუმრობა ხელს უწყობს ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას და უღვივებს მათ მეცნიერებისადმი ინტერესს. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ის ინტელექტუალური რესურსი, რაც სამეცნიერო ინსტიტუტებში გვაქვს. მეცნიერება უნდა დაუახლოვდეს სკოლას! წამყვანმა სპეციალისტებმა, ვისაც ინფორმაციის საინტერესოდ გადაცემა შეუძლია, ბავშვებისთვის საინფორმაციო-შემეცნიებითი ხასიათის ღია გაკვეთილები უნდა ჩაატარონ“, — განაცხადა 133-ე საჯარო სკოლის პედაგოგმა ლია გელაშვილმა.

„დიდი ინტერესით გავეცანი ინსტიტუტის კვლევით ლაბორატორიებს, სადაც ქიმიური ცდები და ექსპერიმენტები ტარდება. სკოლის სასწავლო ლაბორატორიები ხშირ შემთხვევაში ან უმოქმედოა, ან არ გვაძლევს საშუალებას იქ ცდები ვატაროთ. ამიტომ ასეთ დაწესებულებაში ჩვენი სტუმრობა მნიშვნელოვანი და სასარგებლოა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ჩემი არჩევანის სისწორეში — მე აუცილებლად ქიმიკოსი გამოვალ“, — განაცხადა 133-ე საჯარო სკოლის მოსწავლემ ანა შოშიაშვილმა.

საქართველოს განვითარების ერთდღიანი გზა დასავლეთში

თამარ ლალიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რუსეთისმცოდნეობის მიმართულების დოქტორანტებმა: გიორგი ვახტანგიშვილმა, სანდრო სონლულაშვილმა და თამთა ნათენაძემ 28 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მსმენელებს საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებელთა, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა და ექსპერტთა აზრი გააცნეს იმ კვლევის შესახებ, რომელიც ეხებოდა საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის ფორმირებასა და ტრანსფორმაციას რუსეთის ფედერაციის მიმართ.



საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორ მასწავლებელთა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოსაზრებებისა და დამოკიდებულებების გამოსავლენად.

კვლევა მოიცავს სრულიად საქართველოს მასშტაბით 13 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური პერსონალის შეხვედრებს. ჩატარდა 60-მდე სიღრმისეული ინტერვიუ.

„კვლევის მიზანს წარმოადგენდა 1991 წლიდან უკანასკნელ პერიოდამდე რუსეთთან მიმართებაში საქართველოს საგარეო პოლიტიკის გაანალიზება. მნიშვნელოვანი იყო, რუსეთის ფედერაციასთან მიმართებით, საგარეო პოლიტიკური კურსის ტრანსფორმაციაზე გავლენის მომხდენი ძირითადი ფაქტორების იდენტიფიცირება და პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ რა არის საჭირო ქვეყნის ხელისუფლების მიერ შემუშავებული სტრატეგიის ეფექტურობის გასაზრდელად. გაანალიზდა, საქართველოს მმართველი ელიტების საგარეო პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო კავშირები, მათი შესაბამისი პოზიციები რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთდამოკიდებულების ფონზე“.

წიგნის შინაარსობრივ ნაწილზე საინტერესოდ ისაუბრა ერთ-ერთმა ავტორმა, დოქტორანტმა სანდრო სონლულაშვილმა, რომელმაც კვლევის ანგარიშის ხუთივე თავის — „საქართველო-რუსეთის სახელისუფლებო სტრატეგიების ანალიზი“, „საქართველო-რუსეთის კონფლიქტების შეფასება“, „საქართველო-რუსეთის სახელისუფლებო სტრატეგიების ანალიზი“, „საზოგადოებრივი აზრის ფორმირება საქართველოში“ და „საქართველოს საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაცია“ —

უმათავრესი საკითხები მიმოიხილა.

სანდრო სონლულაშვილის თქმით, კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი: „ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის სახელისუფლებო სისტემა არ შეიცვლება, საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობები არ დაერეგულირდება. ასეთ შემთხვევაში, ქვეყნის ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარება უშედეგო იქნება. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება პრეზიდენტი პუტინი თუ სხვა, მთავარია, რამდენად შეიცვლება რუსეთის სახელისუფლებო სისტემა, მმართველობის ტიპი, რამდენად დემოკრატიული გახდება რუსეთში მმართველობა, გადაუხვევს თუ არა ქვეყანა ავტორიტარიზმის რელსებიდან, მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი ქვეყნებს შორის ურთიერთობების ნორმალიზება“.

რაც შეეხება საქართველო-რუსეთის კონფლიქტების შეფასებას, ექსპერტების აზრით, რუსეთის მიზანი იყო ქართულ მოსახლეობაში ჩაენერგა შიში, თითქოს საქართველოს არ აქვს იმის ძალა, რომ ოდესმე რუსეთს დაუპირისპირდება და გარკვეულ პოზიტიურ შედეგებს მიაღწევს. ომის შემდეგ, რუსეთმა საპირისპირო მიიღო, საქართველოს მოსახლეობაში განწყობა მის მიმართ ნეგატიურად შეიცვალა, ხოლო დასავლეთის მიმართ — პოზიტიურად.

როგორც მან აღნიშნა, ექსპერტების აზრით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მცხოვრები მოსახლეობის დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ.

კვლევების აზრით, მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ექსპერტთა მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რომელი აქტორები და რა მასშტაბით ახდენენ გავლენას საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე საქართველოში.

დოკტორი აზრის ფორმირებაზე საქართველოში საგარეო პოლიტიკური კურსის თვალსაზრისით.

„პროფესორთა უმეტეს ნაწილს მიაჩნია, რომ უმთავრეს როლს თამაშობს თავად ქვეყნის მოსახლეობის ისტორიული მესიერება, მათი პირადი გამოცდილება. უფროსი თაობის ადამიანები ძირითადად ლოიალურად არიან განწყობილი რუსეთის მიმართ, რადგან მათივე მტკიცებით, კომუნისტური ეპოქის პერიოდში ჰქონდათ უკეთესი სოციალური პირობები, იყვნენ მატერიალურად უზრუნველყოფილი და არ გააჩნდათ პრობლემები დასაქმების თვალსაზრისით, მაშინ, როდესაც უმუშევრობა დღევანდელ საქართველოში ერთერთ მწვავე პრობლემას წარმოადგენს.“

პროფესორთა ნაწილი აგრეთვე აღნიშნავს, რომ მასმედია არის ერთ-ერთი უმთავრესი აქტორი, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. არსებობს მრავალი ე.წ. პრორუსული სატელევიზიო მასმედიის სახით, რომლებიც უშუალოდ ცდილობენ, გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივ აზრზე. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ისინი ქართულ საზოგადოებას დასავლურ ღირებულებებს წარმოუჩენენ ნეგატიური პრიზმიდან“, — ვკითხულობთ ნაშრომის მეოთხე თავში.

საბოლოო ჯამში, გამოკითხულ მეცნიერთა 80% სკეპტიკურად უყურებს რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებას იმ თვალსაზრისით, რომ აღნიშნული დამოკიდებულება სახელმწიფოსთვის შედეგის მომტანი არ აღმოჩნდება. მათი აზრით, ამის შესაძლებლობა გაჩნდება მაშინ, როდესაც თავად კრემლში წარმოიქმნება შესაბამისი შიდა პროცესები, მოხდება ავტორიტარული სისტემის რღვევა, ოფიციალური მოსკოვი დემოკრატიისაკენ აიღებს გეზს და შეიცვლება შიდა სტრუქტურა.

რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოს განვითარების ერთდღიანი გზა არის დასავლეთი. იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ინტეგრირდება დასავლეთთან, იგი მეტად მომზიდველი გახდება კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის, ვინაიდან მათ მატერიალური თუ ეკონომიკური კეთილდღეობის შეტი შანსი გაუჩნდებათ“, — განაცხადა სანდრო სონლულაშვილმა, რომელმაც კვლევის შედეგების სხვა მნიშვნელოვან და საყურადღებო დეტალებზეც ისაუბრა.

პრევენციის შემდეგ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე საინტერესო დისკუსია გაიმართა, სადაც მონაწილეობა მიიღეს კვლევის ავტორებმა, რესპონდენტებმა და სტუდენტებმა.

სტუდენტური ჯონფარენსია ბიზნეს-ინოვაციების შესახებ

თამარ ლალიანი

„მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2018“-ს მიქცენა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გამართული სტუდენტური კონფერენცია: „ბიზნეს ინოვაციები“, სადაც თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტებმა საკუთარი ნამუშევრების პრეზენტაციები წარმოადგინეს.

კონფერენცია 26 სექტემბერს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით გაიმართა.

კონფერენციაზე 6 საუკეთესო მოხსენება შეირჩა. სტუდენტები დაინტერესდნენ ისეთი საკითხების შესწავლით, როგორცაა: „საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია- შესაძლებლობები და გამოწვევები“ (მომხს. სალომე კახიძე); „ქართული ფირმების საგარეო ბაზრის შერჩევის მეთოდები“ (მომხს. ლელა ძეგველიშვილი); „ბიზნესის გლობალიზაცია — მიზეზები და ინტერესები“ (მომხს. თამარ ჭაბაშვილი); „უმუშევრობა და ეფექტიანი დასაქმების მიმართულებები საქართველოში“ (მომხს. ანა ხარაიძე); „საქართველოს საგადასახადო სისტემა“ (მომხს. სალომე მამაცაშვილი) და „მიგრაციის ზოგადი სოციალურ- ეკონომიკური შედეგები“ (მომხს. ირაკლი ბერუჩაშვილი).

თსუ-ის სტუდენტის სალომე კახიძის თემა — „საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია-შესაძლებლობები და გამოწვევები“ — ეხებოდა უშუალოდ საქართველოს ევროინტეგრაციის მრავალწლიან პროცესს და მის დინამიკას, საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის უმთავრეს პრობლემას — საქსპორტო კალათის დივერსიფიკაციას.

„ISET-ის კვლევის მიხედვით, ევროკავშირში ექსპორტირებული პროდუქციის 80 პროცენტი კონცენტრირებულია ერთი მხრივ, მინერალებზე და ლითონებზე, მეორე მხრივ, საკვებ პროდუქტებზე (ღვინო, სასმელები, ბოსტნეული და ა.შ.). საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ეს ტენდენცია საკმაოდ მდგრადია და არ შეცვლილა მას შემდეგ, რაც სა-



ქართველო გახდა DCFTA-ს ნაწილი. მნიშვნელოვანი იქნება, თუ საქართველო შეიმუშავებს საინვესტიციო პოლიტიკას, რომლის ფარგლებშიც მოხდება ინვესტიციების, რომლებიც ხელს შეუწყობენ ექსპორტის დივერსიფიკაციას“, — განაცხადა სალომე კახიძემ, რომლის თემა სტუდენტებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტმა ირაკლი ბერუჩაშვილმა საინტერესო და აქტუალური თემა წარმოადგინა — „მიგრაციის ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები“, სადაც საქართველოდან მიგრაციით გამოწვეულ შედეგებსა და გამოწვევებს მიზეზებზე ისაუბრა.

„აშკარაა, რომ საქართველოდან მიგრაცია გამოწვეულია დაბალი ხელფასის დონით, უმუშევრობითა და დაბალხარისხიანი სოციალური დაცვის სისტემით. ხშირია დროებითი, მუდმივი შრომითი მიგრაციები. 1990 წლიდან მოყოლებული, ქვეყნიდან მილიონზე მეტი ადამიანი გავიდა. ნათელია, რომ მიგრაციის შედეგად შემოსული თანხები ზრდის ცხოვრების დონეს. თუმცა, ეს სიღარიბის დაძლევის იარაღი ნამდვილად არ არის. ეკონომიკური თვალსაზრისით ის ფასების შემცირებას ახდენს, რასაც, წესით, ექსპორტის სტიმულირება უნდა მოყვებოდა, თუმცა არსებული ტენდენციები ტრანსფერული დანახოების სიმცირესა და გაზრდილ მოთხოვნაზე მიუთითებენ, რაც სამწუხაროდ, იმპორტის ხარჯზე ხდება. კვლევებმა ფუნქციური კავშირის არსებობა ამ გზავნილებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის არ დაადასტურა,

თუმცა არსებობს მექანიზმები, რომლებიც მათი სწორი კოორდინირების და ქვეყნის სასიკეთოდ გამოყენების საშუალებას იძლევა“, — აღნიშნა ირაკლი ბერუჩაშვილმა.

„უმუშევრობა და ეფექტიანი დასაქმების მიმართულებები საქართველოში“ — განიხილა ანა ხარაიძემ. მან კვლევაში გვიჩვენა, რომ საქართველოში უმუშევრობის პრობლემები განსაკუთრებული სიმწვავეით ხასიათდება. უფრო მეტიც, უმუშევრობა ქვეყანაში ყველაზე აქტუალურ და სიღარიბის განმაპირობებელ მთავარ ფაქტორადაა აღიარებული.

„უმუშევრობის პრობლემებს შორის განსაკუთრებით გამოიკვეთა შემდეგი: უმუშევრობა მაღალია როგორც ქალაქად, ისე სოფლად; უმუშევარ მოსახლეობას შორის ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა ახალგაზრდობა, რაც მნიშვნელოვანი სოციალური რისკებისა და საფრთხის მატარებელია; უმუშევრობის ყველაზე დიდი მატარებელი არის დედაქალაქში, ვინაიდან სამუშაო ძალის უდიდესი ნაწილი სწორედ აქ არის მოხილვადი; უმუშევრობის დონე მამაკაცებში გაცილებით მაღალია ქალებთან შედარებით, რაც განპირობებულია იმით, რომ დაუსაქმებელი ქალების უმრავლესობა ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება.

ქვეყანაში ქრონიკული უმუშევრობის დაძლევა და ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფა მოითხოვს რიგი რადიკალური ღონისძიებების გატარებას: არსებული სამუშაო ადგილების შენარჩუნების და ახალი სამუშაო ადგილების

შექმნას; უმუშევართა პროფესიული გადამზადებას, კვალიფიკაციის ამაღლებას და სხვა.“ — განაცხადა ანა ხარაიძემ.

ეკონომიკური გლობალიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები მიმოიხილა თამარ ჭაბაშვილმა ნაშრომში — „ბიზნესის გლობალიზაცია — მიზეზები და ინტერესები“, სადაც გლობალიზაციის პროცესის თანამდევ ცვლილებებსა და პრობლემებზე ისაუბრა.

„გლობალიზაცია თანამედროვე ცივილიზაციის კანონზომიერი განვითარების თანმდევი პროცესია, რომელიც მომავალში უფრო მეტად განვითარდება. სახელმწიფოები მას წინ ვერ აღუდგებიან, რადგან არ არსებობს მისი შეჩერების პირობები და ფაქტორები. ამიტომ, უმჯობესია, დროულად ვმართოთ მოვლენები, რომლებიც ამ პროცესებს ქვეყნის სასარგებლო ფაქტორებად აქცევენ.“

ეკონომისტთა ერთი ნაწილი აღნიშნავს, რომ გლობალიზაციით გამოწვეულ სოციალურ კრიზისამდე მივდით, თუმცა სხვები ადასტურებენ, რომ იგივე პროცესები ჩაკეტილი ეკონომიკის პირობებშიც (გლობალიზაციის გარეშე) გარდაუვალი იქნებოდა, ხოლო გლობალიზაცია თანმხლები სირთულეების გადალახვაში გვეხმარება. ამ საკითხების შესწავლას კიდევ მრავალი წელი დასჭირდება“, — აღნიშნა თამარ ჭაბაშვილმა.

საინტერესო იყო თსუ-ის სტუდენტების ლელა ძეგველიშვილისა და სალომე მამაცაშვილის მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები.

მოგაწავს ხინო-ტელე რეჟისორობა ფილმების პროდუქცია გეგმარეთ

თამარ ლალიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კინოტელე რეჟისორის სტუდენტებმა, 24 სექტემბერს, თსუ-ში საკუთარი ნამუშევრები წარმოადგინეს.

ფილმების ჩვენებაში მონაწილეობა მიიღო პროგრამის 7-მა სტუდენტმა: ქეთევან ბებურიშვილმა („ადამიანი ორკესტრი“); ლაზარე ლეკვეიშვილმა („ვარდისფერი პარკი“); გია გაზდელიანმა („პირველი ნადირობა“); ლაშა ლაბაძემ („გვირაბი“, თავი პირველი); მუსხრან სხვედიანმა („დიდაბ (დიდება)“) და გიორგი მენაბდემ („სისხლი“).

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს აღზარდოს პრაქტიკულ ორიენტირებული პროფესიონალი ტელე-კინო რეჟისორი და მცირე დროში მისცეს მას ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება და ტექნიკური უნარ-ჩვევები. უკვე 10 წელია ამ პროგრამას წარმატებით ვახორციელებთ. ვართ 14 საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეები. ჩვენს პროგრამაზე სწავლა სტუდენტისთვის ძალიან საინტერესოა: ვიღებთ კლიპებს, რეკლამებს, დოკუმენტურ, მოკლემეტრაჟიან და მხატვრულ ფილმებს. გვყავს მაღალკვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას უშურველად გადასცემენ სტუდენტებს. პროგრამის პედაგოგი თემურ ბუტიკაშვილი ბერლინალეს გამარჯვებული და ორგზის კანის ფესტივალის მონაწილეა. მოკლედ,



ვასწავლით ისე, როგორც უნივერსიტეტის სახელსა და ღირსებას შეეფერება“, — განაცხადა პროგრამის ხელმძღვანელმა, თეატრმცოდნე და მხატვრული ფილმის რეჟისორმა ლელა ნიფურიამ.

სტუდენტებმა ფილმების ჩვენებაზე ორიგინალური ხედვითა და პროფესიული თვალთ დანახული ფილმები წარმოადგინეს.

ქეთევან ბებურიშვილის ფილმში „ადამიანი ორკესტრი“ — აღწერილია ერთი ნიჭიერი მუსიკოსის, მერაბ ბაზერაშვილის ცხოვრება, რომელიც გულწრფელად გვიზიარებს საკუთარ შეხედულებებს ცხოვრებისეულ საკითხებზე, მუსიკის არსსა და დანიშნულებაზე. ფილმის მონოლოგი დღევანდელ ყოფაში ხელოვანის ბედსა და ცხოვრებაზე მოგვითხრობს.

შთაბეჭდავი ჩანაფიქრითა და საინტერესო ხედვით იყო გამორჩეული ლაშა ლაბაძის ფილმი — „გვირაბი“,

რომელიც მხატვრული თვალთ აღწერს მეტროს შესასვლელში განთავსებულ მეორადი ფესხაქმლის ბაზრობას.

მუსრან სხვედიანის ფილმში — „დიდაბ (დიდება)“ — საინტერესოა არის მოთხრობილი სვანურ ტრადიციებსა და ადათ-წესებზე. ფილმი დოკუმენტური შინაარსისაა და თვალწინ გვიცოცხლებს სვანეთის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს.

გიორგი მენაბდის სადიპლომო ნამუშევარმა — „სისხლი“ — მაყურებლის განსაკუთრებული მონონება დაიმსახურა. რეჟისორმა ფილმი ნოდარ დუმბაძის მოთხრობის — „სისხლის“ — მიხედვით გადაიღო. ფილმი ძალიან მგრძობიარე და მეტყველია. მხატვრული ნაწარმოების ეკრანიზაციის მრავალგვარი მეთოდი და ფორმა არსებობს, მაგრამ ერთი პირობის დაცვა სავალდებულოა — ავტორის ღრმა წვდომა და ამისთვის ეკრანული გამო-

ხატულების მოძებნა. წინააღმდეგ შემთხვევაში ორიგინალის სული დაიკარგება. ამიტომ ეკრანიზაციის წარმატებით დაგვირგვინება მართო რეჟისორის პროფესიულ ნიჭზე და ოსტატობაზე არ არის დამოკიდებული, არამედ ორი სხვადასხვა დარგის შემოქმედის — მწერლისა და კინოხელოვანის სულიერი ნათესაობაზეც, მათი ინტერესების, მხატვრული ხედვის დამთხვევაზეც, რაც ავტორმა ბრწყინვალედ მოახერხა. უნდა აღნიშნოთ ისიც, რომ მან ეს ფილმი ფინანსების გარეშე გადაიღო, პროფესიონალი მსახიობების მონაწილეობით.

„რამდენიმე საერთაშორისო კინოფესტივალზე გავაგზავნე ჩემი ფილმები, ბევრზე ვერ მოვახერხე, რადგან ძვირი ჯდება... ანკარის (თურქეთი) საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალის ორგანიზატორები დაინტერესდნენ ჩემი ფილმებით, ფესტივალის დეკემბერში გაიმართება. წელს რიგით VIII ფესტივალაა, რომელსაც გასულ წელს 72000 მონაწილე ჰყავდა. იმედი მაქვს, ჩემი ფილმები ჟიურის მონონებას დაიმსახურებს“, — განაცხადა გიორგი მენაბდემ, რომელიც სწავლის გაგრძელებას ამ მიმართულებით საზღვარგარეთ აპირებს.

ასევე საინტერესო იყო ლაზარე ლეკვეიშვილისა და გია გაზდელიანის ფილმებიც, რომლებმაც მაყურებლის დიდი მონონება დაიმსახურა.

ამ საღამომ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა რომ ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდები გვყავს, რომლებიც თავიანთ სიტყვას იტყვიან ქართულ კინოხელოვნებაში.



„მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი 2018“ ევროპული ახადემიის ჰაბის გახსნით დასრულდა



„მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი 2018“ — 1 ოქტომბერს ევროპული აკადემიის ჰაბის გახსნით დასრულდა. ფესტივალის დახურვის ღონისძიებას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე თევზაძე, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი განათლების საკითხებში მიხეილ ჩხენკელი და აკადემიური წრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2018“ წელს თსუ-ის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა. ჩატარდა 500-ზე მეტი ღონისძიება, მათ შორის, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, სემინარები, ფორუმები, კონგრესი, სამუშაო შეხვედრები და ქართველი მეცნიერების გამოგონებების გამოფენები. სამეცნიერო პიკნიკები გაიმართა ბათუმისა და ქუთაისის უნივერსიტეტებშიც. ფესტივალის დახურვის ღონისძიების ადგილად სპეციალურად შეირჩა ელფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, როგორც საქართველოში მეცნიერების განვითარების ერთ-ერთ მთავარ ცენტრს.

რეთ პირველად იხსნება მათი წარმომადგენლობა და მას ექნება „ახალგაზრდა აკადემიის“ ფუნქცია. ეს გახლავთ ახალგაზრდა მეცნიერების განვითარების საწინდარი. დღეს მსოფლიო მეცნიერება ახალი გამოგონებების წინაშე დგას და კარგია, რომ საქართველო ამ გზაზე მარტო არ არის.

როგორც მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის გახსნაზე, ასევე მისი დახურვის ღონისძიებაზეც საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით დაფინანსება გაიზარდება და ხელისუფლებისთვის ეს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი.



ჩვენს მეცნიერებს ევროპული პარტნიორების დიდი მხარდაჭერა აქვთ. ევროპის აკადემიის რეგიონულ ჰაბს ბატონი დავით ფრანგიშვილი უხელმძღვანელებს, რომელიც საფრანგეთში, პარიზის პასტერის უნივერსიტეტში მოღვაწეობს. დავით ფრანგიშვილის ხელმძღვანელობით, ის ხალხი, ვინც ყოველდღიურად იქნება ჩართული ევროპის აკადემიის საქმიანობაში, შეძლებენ ჩვენი მეცნიერება ახალ დონეზე გაიყვანონ“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

„ევროპული აკადემიის რეგიონული ცენტრის გახსნა ძალიან დიდი მოვლენა გახლავთ. საკმაოდ დიდი ენერჯია და დრო იყო დახარჯული ამ მიზნის მისაღწევად. აქ შეიქმნება ევროპის აკადემიის რეგიონული ცენტრი, რაც ქართველ მეცნიერებს და ახალგაზრდებს განვითარების დიდ პერსპექტივას სთავაზობს. მოგეხსენებათ, მეცნიერებაში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა — დაფინანსების სიმცირეა. ამ კუთხით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ განათლება, მეცნიერე-

ბა არის მისთვის მთავარი სტრატეგიული პრიორიტეტი. ეს ნიშნავს, რომ განხორციელდება მასშტაბური ინვესტიციები განათლებისა და მეცნიერების სფეროში. ფინანსური ინვესტიცია, რომელიც მოხმარდება სწორედ ხარისხის გაუმჯობესებას ყველა მიმართულებით და ეს გულისხმობს მეცნიერებისა და ინოვაციების ახალ ეტაპზე გადასვლას“, — განაცხადა მიხეილ ჩხენკელმა.

„გარდა უნივერსიტეტებისა, მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალში ჩართული იყო სხვადასხვა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ცენტრი, კვლევითი ლაბორატორია. სიმბოლურია, რომ ფესტივალი იხურება ელფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების ერთმანეთთან ინტეგრაციის საჭიროებას. ჩვენმა სამინისტრომ ალაღვინა სამინისტროს საპატიო სიგელის გადაცემის ტრადიცია და დღეს პირველად, წლების შემდეგ, საშუალება გვქვია რომ დავფასოთ ის ადამიანები, რომლებმაც მრავალი წლის განმავლობაში მეცნიერებისა და განათლების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს“, — აღნიშნა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე თევზაძემ.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ საპატიო სიგელებით სხვადასხვა სამეცნიერო ინსტიტუტში მომუშავე 97 ადამიანი დააჯილდოვა.

„მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალს“ 20000-ზე მეტი ახალგაზრდა და 1000-ზე მეტი უცხოელი სტუმარი დაესწრო. დახურვის ღონისძიებაზე კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი სამეცნიერო ღონისძიება დაანონსდა, მათ შორის შეხვედრები ცერნის პროექტების CMS-ისა და ATLAS წარმომადგენლებთან.

„მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი“ 2015 წლიდან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით იმართება.



- მთავარი რედაქტორი
ნინო კაკულია
- მთავარი სამცხალისტი
მაია ტორაძე
- ტექნიკური რედაქტორი
მანანა ჯურხაძე

- შუქრალისტები:
ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

- ფოტოკორესპონდენტი
ანა ბოლქვაძე
- კომპ. უზრუნველყოფა
ზაზა გულაშვილი

- რედაქციის წევრები:**
- იაგო კაჭკაჭიშვილი,
 - მანანა შამილოშვილი,
 - თინათინ მარგალიტაძე,
 - თინათინ ბოლქვაძე,
 - ეთერ ხარაიშვილი,
 - რევაზ გველესიანი,
 - ირაკლი იმედაძე,
 - გიორგი ჯიანი,
 - თემურ ნადარეიშვილი,
 - მორის შალიკაშვილი,
 - მაია ივანიძე,
 - ვლადიმერ მარგველაშვილი,
 - გიორგი ლობჯანიძე,
 - ეკა კვიციანი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
☎ 2 22 36 62

ვებგვერდი:
newspaper.tsu.edu.ge

ელ.ფოსტა:
tsunewspaper@tsu.ge



1 ოქტომბრიდან გადაცემა „უნი-ვიზია“ გადის რეგიონულ ტელევიზიაში, რასაც საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია უზრუნველყოფს (თსუ-სა და საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად).